# შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№26 (9.691)

18-25 ივლისი 2015 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


# „შავ სიაში“ შეყვანილი მოძღვარი და შეწყვეტილი მღვდელმსახურება



„მე მივიღე გადაწყვეტილება კახიდან წამოსვლაზე, ვინაიდან არავინ იღებს პასუხისმგებლობას ჩემს უსაფრთხოებაზე. აზერბაიჯანის მოქალაქეობა არ არის უსაფრთხოების გარანტია, პირიქით, ეს არის შევიწროების, უკიდურესად შეზღუდვის შესაძლებლობა“, — აცხადებს კახის წმინდა გიორგის ტაძრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი დემეტრე თეთრუაშვილი, რომელიც 21 ივნისს, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არ შეუშვეს. კახის რაიონში მღვდელმსახურება შეწყვეტილია. მრევლი დახმარებას საქართველოს მთავრობისგან ითხოვს.

„ვითხოვდით გამონაკლისის სახით ორმაგ მოქალაქეობას: უსაფრთხოების მიზნით საქართველოს მოქალაქეობას. მე ყველაფერი მაქვს საქართველოში. აზერბაიჯანი რომ იყოს უსაფრთხო ქვეყანა, არაა პრობლემა, ასე შორიდან საუბარი და ცივი განცხადება მათი საგარეო საქმეთა სამინისტროს მხრიდან, რომლის პასუხსაც გუშინ მთელი დღე ველოდი და არ დამირეკეს.

განცხადებაში კი დაწერეს, რომ თურმე რაღაც ვადა მოუციათ, მივიღებ აზერბაიჯანის მოქალაქეობას და ასე... ეს არის მტკნარი სიცრუე.... ხორნაბუჯელ ეპისკოპოს დიმიტრის ვაცნობე, რომ მოძებნოს სასულიერო პირი, ვინც გაბედავს მიიღოს აზერბაიჯანის მოქალაქეობა და გააგრძელებს იქ მსახურებას.

სამწუხაროდ, ოთხი წლის განმავლობაში არასოდეს მიგრძვნია მხარდაჭერა სახელმწიფო სტრუქტურებისგან, ყოველთვის ხდებოდა და ხდება აზერბაიჯანული მხარის დაუსრულებელი მოთხოვნების მხარდაჭერა.

მართალია მათი სასულიერო პირები მსახურებენ საქართველოში და ისინი არიან საქართველოს მოქალაქეები, მაგრამ მსახურებაში არასოდეს შეშლიათ ხელი. ასევე, რუსეთის ეპარქიის მღვდელმსახურნი არიან დაბადებულნი აზერბაიჯანში და შესაბამისად, მოქალაქენიც არიან ამ ქვეყნის. თუ ვინმე რუსეთიდანაა, ისინი ორმაგი მოქალაქეობით სარგებლობენ. რატომღაც მხოლოდ საქართველოს მოქალაქე უნდა გახდეს აზერბაიჯანის მოქალაქე, რათა როგორც მათ სურთ, ისე მოგექცნენ. მხარდაჭერას ვერ მიიღებ საქართველოდან და იძულებული გახდები დაჰყვე მათ ნებას. მე ვითხოვ, დამეხმაროს საელჩო ჩემი ნივთების წამოღებაში. 21 ივნისის მოვლენებმა ცხადყო არსებული მდგომარეობის სიმძიმე“, — წერს არქიმანდრიტი დემეტრე თეთრუაშვილი „ფეისბუქში“.

კახის წმინდა გიორგის ტაძარი ერთადერთი მოქმედი მართლმადიდებლური ეკლესიაა აზერბაიჯანში. 21 ივნისს, როდესაც არქიმანდრიტი საქართველოდან აზერბაიჯანში ბრუნდებოდა, ლაგოდეხის სასაზღვრო — გამშვებ პუნქტზე აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა მას აზერბაიჯანში შესვლის უფლება არ მისცეს და უთხრეს, რომ შავ სიაშია შეყვანილი(?!)

კახის რაიონის გამგებლის განცხადებით, არქიმანდრიტს აზერბაიჯანში მსახურების გაგრძელების სურვილი თუ ჰქონდა, აზერბაიჯანის მოქალაქეობა უნდა მიეღო.

მოგვიანებით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ განცხადება გაავრცელა.

„როგორც აზერბაიჯანული მხარე განმარტავს, ადგილობრივი კანონმდებლობით დადგენილია მკაცრი მოთხოვნა, რომლის თანახმადაც აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ღვთისმსახურების უფლება აქვთ მხოლოდ აზერბაიჯანის მოქალაქეებს და სწორედ ეს გახლდათ საქართველოს მოქალაქე მღვდელმსახურის ქვეყნის ტერიტორიაზე დაუშვებლობის მიზეზი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საპატრიარქოს მხრიდან არსებობს მზაობა აღნიშნული ეკლესიის წინამძღვარმა მიიღოს აზერბაიჯანის მოქალაქეობა და მისი საქმიანობა ქვეყნის ტერიტორიაზე მოექცეს ადგილობრივი კანონმდებლობით დადგენილ ჩარჩოებში, რათა წმინდა გიორგის ეკლესია, არ დარჩეს მოძღვრის გარეშე.

აღსანიშნავია, რომ წლების მანძილზე, აზერბაიჯანული მხარე გამონაკლისს უშვებდა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიისთვის, ხოლო სხვა დანარჩენი კონფესიების რელიგიური მოღვაწენი არიან აზერბაიჯანის მოქალაქეები. ქართული მხარის თხოვნის საფუძველზე, 2015 წლის 1 ივნისამდე აზერბაიჯანულმა მხარემ რამდენჯერმე გადადო ქართული მხარისთვის ზემოაღნიშნული კანონის მოთხოვნის შესრულება. დადგენილი ვადის ამოწურვის შემდგომ კი აზერბაიჯანულმა მხარემ მოითხოვა შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება, რათა ქართველმა სასულიერო პირმა შეძლოს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ღვთისმსახურება აზერბიჯანის კანონმდებლობის შესაბამისად“, — ნათქვამია საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

არქიმანდრიტ დემეტრე თეთრუაშვილის განცხადებით, მას საგარეო საქმეთა სამინისტროდან არავინ დაკავშირებია და მითუფრო, არ გამოუთქვამს თანხმობა აზერბაიჯანის მოქალაქეობის მიღებაზე.

დემეტრე თეთრუაშვილი კახის წმინდა გიორგის ტაძრის წინამძღვარი 4 წლის განმავლობაში იყო. მანამდე ტაძრის წინამძღვარი მამა ბასილი იყო, რომელიც ადგილობრივების ინფორმაციით, აზერბაიჯანიდან 2011 წელს გამოაძევეს. როგორც მაშინ კახის მაცხოვრებლები აცხადებდნენ, გამოძევებამდე კახის რაიონის უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა მოძღვარს ეკლესიის ეზოს კეთილმოწყობა და ტაძრის ფასადის შეთეთრებაც აუკრძალეს, სამუშაოების წარმოების დროს კი მორჩილები ხარაჩოებიდან ჩამოყარეს.

კახის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა დემეტრე თეთრუაშვილმა, საქართველოს პრეზიდენტს ორმაგი მოქალაქეობის მინიჭების თხოვნით მიმართა.

როგორც არქიმანდრიტმა განაცხადა, პრეზიდენტის დადებითი პასუხის შემთხვევაში მზად არის ისტორიულ ჰერეთში მოქმედ ერთადერთ მართლმადიდებლურ ტაძარში მოღვაწეობა ისევ გააგრძელოს.

„წერილი ეხება კახში არსებულ სიტუაციას, რომელიც სახარბიელო არ არის. ამის ფონზე კი საქართველოს მოქალაქეობა უსაფრთხოების გარანტია. ვნახოთ, პრეზიდენტი რა გადაწყვეტილებას მიიღებს. იმ შემთხვევაში, თუ მან დააკმაყოფილა ჩემი თხოვნა და მომანიჭა ორმაგი მოქალაქეობა, ჩვეულებრივ გავაგრძელებ ღვთისმსახურებას აზერბაიჯანში“,- განაცხადა არქინამდრიტმა. მანამდე კი აზერბაიჯანის საელჩოსთან ქართველმა ახალგაზრდებმა არქიმანდრიტის მხარდასაჭერი აქცია გამართეს და განაცხადეს, რომ მეგობრობა ორმხრივია.

აქციის მონაწილეები მოითხოვდნენ, სასულიერო პირს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მართლმადიდებლური მსახურების ჩატარების უფლება მიეცეს, რათა ისტორიულ ჰერეთში მოქმედი ერთადერთი, წმინდა გიორგის ტაძარი მოძღვრის გარეშე არ დარჩეს.

ახალგაზრდებმა აზერბაიჯანის მთავრობას მიმართეს, რომ აზერბაიჯანისა და საქართველოს მეგობრობისა და პარტნიორობის ნიშნად არქიმანდრიტი წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში დაუშვან. როგორც ისინი აცხადებენ, მამა დემეტრეს მოსთხოვეს აზერბაიჯანის მოქალაქეობის მიღება იმისათვის, რომ ეკლესიაში მსახურება განაგრძოს. თუმცა მათ აქციას შედეგი არ მოჰყოლია. ახლა ჯერი საქართველოს პრეზიდენტზეა.

**მასალა მოამზადა**
ინგა შიოლაშვილმა

## ჩვენი წარსული ჩვენი მომავალია



გვ.5

## დედოფლისწყარომ საგანგებო სიტუაციების სააგენტოს უძრავ-მოძრავი ქონება აჩუქა

გვ.2

## ერიდეთ გველებს!

### რამდენად დაცულია ჩვენი სიცოცხლე?!



გვ.2

## ხორნაბუჯის და ჰერეთის ეპარქიაში რამდენიმე სასულიერო პირს ხარისხი აუმაღლდა



გვ.2

# ხორნაბუჯის და ჰერეთის ეპარქიაში რამდენიმე სასულიერო პირს ხარისხი აუმაღლდა



12 ივლისს პეტრე-პავლობის დღესასწაულზე დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში საზეიმო წირვა აღავლინა ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა დიმიტრი კაპანაძემ.

როგორც ხორნაბუჯის და ჰერეთის ეპარქიიდან გაზეთ “შირაქს“ აცნობეს, წირვის დროს ეპარქიაში მოღვაწე რამდენიმე სასულიერო პირს ხარისხი აუმაღლდა.

მოხდა ბერ-დიაკონი პანტელეიმონის (ჩიტორელიძე) მღვდელ—მონაზვნად კურთხევა.

ამას გარდა, დეკანოზი ნიკოლოზ ლომსაძე დაჯილდოვდა მიტრის ტარების უფლებით, ხოლო სამთაწყაროს მამათა მონასტრის წინამძღვარი იაკობ ჩაგუნავა აყვანილ იქნა იღუმენის ხარისხში.

# ნატო შემოდგომაზე მასშტაბურ წვრთნებს ჩაატარებს

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი და მისი მოკავშირეები 2002 წლის შემდეგ, პირველად ყველაზე მასშტაბურ სამხედრო სწავლებებს ჩაატარებენ. ინფორმაციას “როიტერი” ავრცელებს.

“ჩვენ ვერ გავაკეთებთ არჩევანს აღმოსავლეთ და სამხრეთ საფრთხეებს შორის. ჩვენ ორივესთვის უნდა მოვემზადოთ”, - აღნიშნა ნატო-ს გენერალმა ჰანს-ლოთარ დომრროსმა.





“როიტერის” ცნობით, ნატო-ს საშემოდგომო სწავლებებში 30-ზე მეტი ქვეყნის 36 ათასი სამხედრო, მეზღვაური და მფრინავი მიიღებს მონაწილეობას. წვრთნებში მონაწილეობას მიიღებენ ნატო-ს არაწევრი ქვეყნები, როგორებიცაა შვედეთი და ავსტრია.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წარმომადგენელთა განცხადებით, ბოლო 13 წლის განმავლობაში ეს ყველაზე მასშტაბური სწავლებები იქნება.

სწავლებები, სახელწოდებით, თრიდენტ ჟუნცტურე მიმდინარე წლის ოქტომბერ-ნოემბერში გაიმართება იტალიაში, ესპანეთსა და პორტუგალიაში.

# დედოფლისწყაროს საგანგებო სიტუაციების სააგენტოს უძრავ-მოძრავი ქონება აჩუქა



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ — საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული უძრავი და მოძრავი ქონება სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადავიდა. შესაბამისი გადაწყვეტილება დედოფლისწყაროს საკრებულოს 13 ივლისის რიგგარეშე სხდომაზე მიიღეს.

რეგიონებში სახანძრო სამაშველო სამსახურები შსს-ს დაქვემდებარებაში მიმდინარე წლის დასაწყისში გადავიდა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტმა ახალი სახანძრო მანქანები 2011 წელს შეიძინა. კახეთის რეგიონში დედოფლისწყაროს სახანძრო სამსახურის ავტოპარკი ერთ-ერთი ყველაზე გამართულია.

# ერიდეთ გველებს!

## რამდენად დაცულია ჩვენი სიცოცხლე?!



***ტემპერატურის მატებასთან ერთად, კახეთში გველების სიმრავლე შეინიშნება. ჩვენ დავინტერესდით გველის დაკბენის რამდენი შემთხვევა დაფიქსირდა დედოფლისწყაროში და არის თუ არა ანტიგიურზინის საჭირო მარაგი ადგილობრივ საავადმყოფოში.***

ცნობილია, რომ რამდენიმე წლის წინ გველის შხამის საწინააღმდეგო ვაქცინის არარსებობას დედოფლისწყაროში 3 წლის ბიჭის სიცოცხლე შეეწირა. მედიკოსებმა მას საჭირო დახმარება დროულად ვერ აღმოუჩინეს. მაშინ ვაქცინა ვერც თბილისიდან ჩასულმა სასწრაფო დახმარების ეკიპაჟმა ვერ ჩამოიტანა, დაგვიანებული რეაგირების გამო კი ბავშვი დაიღუპა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, იმხანად, საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში შრატის დეფიციტს ჰქონდა ადგილი.

ამჯერად, რამდენად მზადაა დედოფლისწყაროს საავადმყოფო დროული რეაგირებისთვის და აქვთ თუ არა გველის შხამის საწინააღმდეგო შრატი, ამის შესახებ დედოფლისწყაროს მთავარ ექიმს, ხათუნა ზურიკაშვილს ვესაუბრეთ.

„2015 წლის განმავლობაში ქვეწარმავლის მიერ ადამიანის დაკბენის არცერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა და დედოფლისწყაროს საავადმყოფოში არავინ შემოუყვანიათ. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ცხელი ზაფხული იყო და გველების მომრავლება ნამდვილად შეინიშნებოდა. თუმცა, ჩვენ აბსოლუტური მზაობა გვაქვს, რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის დედოფლისწყაროს ფილიალში მომარაგებულია გველის საწინააღმდეგო შრატი და დაკბენის შემთხვევით მომართვისას დროულად დავეხმარებით ნებისმიერ პაციენტს.

რაც შეეხება ზოგად რეკომენდაციებს: მოსახლეობას მივმართავთ, თავი დაიცვან და მოერიდონ ქვეწარმავლებს. დაკბენის შემთხვევაში სასწრაფოდ უნდა მიმართონ სტაციონარს, და რაც მთავარია, მოერიდონ ყოველგვარ თვითნებურ ჩარევას. აუცილებელია დროულად მიაკითხონ უახლოეს სამედიცინო დაწესებულებას და იქ აღმოუჩენენ შესაბამის დახმარებას,“ - აღნიშნა ხათუნა ზურიკაშვილმა.

დედოფლისწყაროს რაიონი შხამიანი გველის გავრცელების თვალსაზრისით რისკის ზონას წარმოადგენს, ამიტომ რაიონულ საავადმყოფოში პრეპარატ „ანტიგიურზინის“ მარაგის არსებობის საკითხი ზაფხულის სეზონზე ყოველთვის აქტუალურია, მითუმეტეს, რომ ვაქცინას ვადა მალე გასდის.

ექიმის ზინა ძელურის განმარტებით, გასულ წელს დედოფლისწყაროს საავადმყოფოში გველის ნაკბენით ექვსი პაციენტი მოთავსდა, რომელთაც შესაბამისი სამედიცინო დახმარება დროულად გაეწიათ. ადგილობრივ საავადმყოფოში არც გასულ წელს და



არც ახლა არ დაუკონკრეტებიათ, რამდენი ვაქცინა ინახება, თუმცა ამბობენ, რომ მარაგი არის.

გველების განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩევა ვაშლოვანის დაცული ტერიტორიებიც. ნაკრძალში გველის ყველაზე აგრესიული სახეობები გვხვდება, აქვე ბინადრობს გიურზაც. ამის მიუხედავად, ვაშლოვანის ადმინისტრაციის დირექტორი მერაბ ფიროსმანაშვილი ამბობს, რომ ნაკრძალი გველის შხამის საწინააღმდეგო ვაქცინას არ ფლობს. მისი თქმით, მათ არც ვაქცინის შესანახი პირობები აქვთ და არც მოხმარების წესებს ფლობენ.

„რაც მე ვარ ხელმძღვანელი, ბოლო ხუთი წელია გველის დაკბენის შემთხვევები არ დაფიქსირებულა, არც თანამშრომლებზე და არც ტურისტებზე. გველი ყველგანაა, მათ შორის ბევრია ჩვენს დაცულ ტერიტორიებზეც, მაგრამ სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ. ღმერთმა გვაშოროს, მაგრამ თუ დაფიქსირდა, სასწრაფო დახმარების სამსახურის იმედად ვართ. ალბათ სხვა დაცული ტერიტორიებიც ასეთ ვითარებაში იქნება, მითუმეტეს, რომ სხვაგან გველების სიმრავლე არ შეინიშნება,“ - აღნიშნავს მერაბ ფიროსმანაშვილი.

იგივეს ამბობს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების რეინჯერთა სამსახურის უფროსი ვაჟა ჩერქეზიშვილი. მისი თქმით, ნაკრძალის არსებობის განმავლობაში ადამიანის დაკბენის შემთხვევა არ დაფიქსირებულა, მათ შორის არც რეინჯერების, რომელთა სამორიგეო პუნქტები რამდენიმე ადგილზეა განთავსებული.

ვაქცინის, ანდა სამედიცინო დახმარების დაგვიანებას ადგილი არ ჰქონია სოფელ ფიროსმანში, სადაც 2011 წელს 34 წლის ნარგიზ ხოზრევანიძე გარდაიცვალა. სამი მცირეწლოვანი ბავშვის დედა გველმა ვენახში მუშაობისას დაგესლა. ქალბატონის გადარჩენა იმ მიზეზით ვერ მოხერხდა, რომ გველის შხამი პირდაპირ არტერიაში მოხვდა და სწრაფად გავრცელდა. შარშან, სოფელ სამთაწყაროში ასევე ვენახში მუშაობისას გველმა ფეხის არეში 19 წლის მურთაზ ჯაიანიც დაკბინა, თუმცა პაციენტი კატასტროფის მედიცინის ცენტრის დახმარებით თბილისში გადაიყვანეს და მისი გადარჩენა მოხერხდა. გასულ წლებში ადგილობრივები იმ ფაქტზეც წუხდნენ, რომ გველები სკოლის შენობებშიც შეუნიშნავთ, მიზეზად კი ამორტიზებულ იატაკს და კარ-ფანჯრებს ასახელებდნენ.

„2011 წელს ერთ-ერთი გაკვეთილის დროს შავი ფერის გველი ჩემს შვილს ფეხზე შემოეხვია. ალბათ ქვეწარმავლები რამდენიმე ადგილზე დაზიანებული იატაკიდან ამოდიოდნენ. 2 დღეში 3 გველი მოკლეს. ბავშვები შეშინებულები იყვნენ და საკლასო ოთახში შესვლის ეშინოდათ“, - განაცხადა ერთ-ერთი ბავშვის მშობელმა, სამთაწყაროს მკვიდრმა დალი ცეცხლაძემ.

გაზეთი „შირაქი“ დაინტერესდა, ამჯერად რა ვითარებაა დედოფლისწყაროს ალაზნისპირა სოფლებში და რამდენად ჩივიან ადგილობრივები ქვეწარმავლების მომრავლებაზე. სოფელ სამთაწყაროში გამგებლის წარმომადგენელი გული ნადირაშვილი გაზეთ „შირაქთან“ საუბარში ამბობს, რომ წელს არც გველის დაკბენის შესახებ სმენია და არც ქვეწარმავალი შეუნიშნავთ.

„დიდ დროს ძირითადად ვენახებში ვატარებთ. ამას გარდა, ამჟამად სარწყავი სისტემების რეაბილიტაცია მიმდინარეობს და ამის გამო ორ კვირაზე მეტია ყოველდღიურად ამ პროცესს ვმეთვალყურეობ, მაგრამ რატომღაც წელს გველი არ შემხვედრია. სოფელშიც არავისგან მსმენია, რომ დასახლებულ ადგილში ენახოთ, ან ვენახებში შეხვედროდა ვინმე. სხვა წლებში იყო ხოლმე ასეთი ფაქტები, მაგრამ წელს ნამდვილად არ ფიქსირდება. რაც შეეხება სამთაწყაროს საჯარო სკოლას და იქ ქვეწარმავლების დაფიქსირების ფაქტს, რამდენიმე წელია რწმუნებული ვარ და ჩემს პერიოდში ასეთი რამ არ დაფიქსირებულა. სკოლასთან 100 მეტრში ვცხოვრობ და ზუსტად ვიცი ასეთი რამ არ ყოფილა. შესაძლოა, გასულ წლებში ასეთი ფაქტები იყო, მაგრამ ამჯერად სკოლა რეაბილიტირებულია, შეკრულია, იატაკიც მოწესრიგებულია და ასეთი საფრთხე აღარ არსებობს,“ - აღნიშნავს გულო ნადირაშვილი.

ილია მარტყოფლიშვილი

# პოლიტიკური დაპირისპირება რუსეთის აგრესიისა და საერთაშორისო მხარდაჭერის ფონზე

რუსეთის მიერ საოკუპაციო ხაზის საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში გადმოწევის ფაქტი, შეერთებული შტატების შემდეგ, დაგმო ევროკავშირმა და ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ. საერთაშორისო თანამეგობრობა შემაშფოთებლად მიიჩნევს რუსეთის ქმედებებს საქართველოს ტერიტორიაზე და ვითარების დაძაბვის საფრთხეს ხედავს. რაც შეეხება საქართველოს შიდაპოლიტიკურ სარბიელს, რუსეთის ქმედებები იქ პოლიტიკური დაპირისპირების საბაბად იქცა.

ევროკავშირი ვითარების გამწვავების საფრთხესა და, შესაბამისად, მაქსიმალური სიფრთხილის აუცილებლობას ხედავს. ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ „თავიდან უნდა იქნეს აცილებული ქმედებები, რომლებიც შესაძლოა მიჩნეულ იქნეს პროვოკაციულად, და ასევე ნებისმიერი ქმედება, რომელიც ზიანს აყენებსსიტუაციის სტაბილიზების ძალისხმევას ატმოსფეროში, რომელიც ხელს უწყობს კონფლიქტის გრძელვადიან მოგვარებას და რეგიონალურ სტაბილურობას“. ევროკავშირი მხარეებს თავშეკავებისკენ მოუწოდებს და ურჩევს, რომ დაძაბულობის განმუხტვის მიზნით გამოიყენონ ჟენევის მოლაპარაკებათა ფორმატი და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმი. ოფიციალურ განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ ევროკავშირი და მისი სამეთვალყურეო მისია (EუMM) ყურადღებით აკვირდებიან მიმდინარე მოვლენებს.

რუსეთის ბოლოდროინდელ ქმედებებთან დაკავშირებით აღშფოთება გამოხატა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა ანნ ბრასორმაც. როგორც 16 ივლისს მისი სახელით გამოქვეყნებულ განცხადებაშია ნათქვამი, ასამბლეა ყოველთვის „თანმიმდევრულად გამოხატავდა თავის მხარდაჭერას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ“ და საერთაშორისო სამართლის დარღვევის ეს მორიგი ფაქტი „მხოლოდ დაძაბულობის გამწვავების მიზანს ემსახურება.“ ტექსტში ვკითხულობთ:

„შევიტყვე უაღრესად შემაშფოთებელი ინფორმაცია საქართველოს სეპარატისტული რეგიონის - სამხრეთ ოსეთის - ადმინისტრაციული საზღვრის ცალმხრივად შეცვლისა და იქ უწყვეტად მიმდინარე ბორდერიზაციის პროცესის შესახებ, რომელსაც რუსეთის შეიარაღებული ძალები ახორციელებენ. განსაკუთრებით საგანგაშოა ის გარემოება, რომ ეს ქმედებები ხორციელდება ბაქო-სუფსის მილსადენის სიახლოვეს, რომელსაც გადამწყვეტი ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს რეგიონისთვის“.




„ჩვენ არასოდეს შევეგუებით ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაციას და ეს არის ჩვენი პრინციპული მიდგომა, რომელიც არასოდეს შეიცვლება“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 16 ივლისს მთავრობის სხდომაზე და ყველაფერს, რაც ხდება, მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების მძიმე მემკვიდრეობა უწოდა:

„წლების განმავლობაში დაგროვილი პრობლემებია, რომლებსაც ჩვენ თანმიმდევრულად, სწორი, გააზრებული და ჭკვიანური პოლიტიკით უნდა გავუმკლავდეთ და არა უპასუხისმგებლო, ემოციური, გაუაზრებელი ყვირილითა და ხმაურით... ბოლო 3 წლის განმავლობაში დავამტკიცეთ ჩვენ, რომ მართლაც გვსურს ჩვენს აფხაზ და ოს ძმებთან შერიგება. ჩვენი პოლიტიკაც სწორედ აქეთკენ არის მიმართული. არ დავუშვებთ არანაირ პროვოკაციას. მშვიდად, აუღელვებლად, მაგრამ პრინციპულად გამოვიყენებთ ყველა საერთაშორისო ბერკეტს“.

თავის მხრივ, „ნაციონალური მოძრაობა“ ამჟამინდელ ხელისუფლებას ადანაშაულებს, კერძოდ, იმაში, რომ, რუსეთის შემოტევის ფონზე, ადეკვატურად არ არის დაცული საქართველოს ინტერესები.

პოლიტიკური დაპირისპირების პარალელურად, ანალიტიკოსები კვლავაც მსჯელობენ და განიხილავენ საოკუპაციო ძალის მოტივაციასთან დაკავშირებულ შესაძლო ვერსიებს. ანუ რა ედო საფუძვლად იმას, რომ 10 ივლისს გორის რაიონის სოფელ წითელუბნისა და ოკუპირებული ახალგორის რაიონის სოფელ ორჭოსნის მიმდებარე ტერიტორიაზე რუსეთმა უკანონოდ აღმართა ე. წ. „საზღვრის“ აღმნიშვნელი ბანერები.

მაგალითად, ევროპული კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი კახა გოგოლაშვილი რამდენიმე ძირითად ვერსიას აყალიბებს და ერთ-ერთი ასეთი ვერსია თურქმენული გაზის შესაძლო ტრანზიტს უკავშირდება. როგორც ცნობილია, გაზაფხულზე გადაწყდა მუშაობის დაწყება სამართლებრივ ჩარჩო ხელშეკრულებაზე, რომელიც მოამზადებს ნიადაგს ბუნებრივი აირის თურქმენეთიდან ევროპისთვის მისაწოდებლად:

„თურქმენეთი ბოლო დროს ამჟღავნებს საკმაოდ დამოუკიდებელ პოზიციებს რუსეთთან მიმართებით და რუსეთს შეეშინდა, რომ თურქმენეთის გაზი არ წამოვიდეს საქართველოს გავლით. ნებისმიერ შემთხვევაში სჭირდება ამ რეგიონის მნიშვნელობის და უსაფრთხოების დეგრადაცია. ამით ის აჩვენებს, რომ საქართველოზე გაყვანილი ნებისმიერი გაზსადენი ან ნავთობსადენი არ იქნება გარანტირებულად დაცული“.

რაც შეეხება რუსეთის ბოლოდროინდელ გააქტიურებასთან დაკავშირებულ სხვა ვერსიებს, კახა გოგოლაშვილის თქმით, შესაძლოა რუსეთი თადარიგის დაჭერას ცდილობდეს და ამზადებდეს ნიადაგს იმისათვის, რომ 2016 წლის არჩევნებში საქართველოში ხელისუფლების სათავეში მისთვის ხელსაყრელი პოლიტიკური ძალა (ვთქვათ, ნინო ბურჯანაძის პოლიტიკური ძალა) მოვიდეს. ევროპული კვლევების ცენტრის ხელმძღვანელის კიდევ ერთი ვერსიის მიხედვით, ბოლო დღეების მოვლენათა განვითარებაში, შესაძლოა, ასევე თავისი წვლილი შეიტანახელშეკრულებების გაფორმებამ საქართველოსა და საფრანგეთს შორის, რაც თავდაცვითი საშუალებების შეძენას ისახავს მიზნად და რაც რუსეთს ახალ თავსატეხს უჩენს.

* * *

შიდა ქართლის საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხოების ზომები გაამკაცრეს ქართველმა სამართალდამცავებმა. ისინი გორის რაიონის სოფლებთან ხურვალეთთან და წითელუბანთან მიახლოებას უკრძალავენ მედიასაშუალებების წარმომადგენლებს და იმ მოქალაქეებს, რომლებიც რეგიონში ოკუპაციის გასაპროტესტებლად ჩავიდნენ. პოლიციის განმარტებით, ზომების გამკაცრება მიზნად ისახავს მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვას და შესაძლო პროვოკაციების თავიდან აცილებას. რამდენიმე დღის წინ, ჟურნალისტების ჯგუფის მიერ ორგანიზებული საპროტესტო აქციის მონაწილეებმა სოფელ ხურვალეთთან მიწიდან ამოიღეს ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერი და მის ნაცვლად საქართველოს დროშა აღმართეს. დროშა 16 ივლისს ჩამოხსნეს ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებმა. მათ ადგილობრივი მოსახლეობა და ჟურნალისტები გააფრთხილეს, რომ ბანერს ხელახლა დადგამენ და ტერიტორიასთან მიახლოება აუკრძალეს. რუსეთის საოკუპაციო ძალების და ოსური მხარის წარმომადგენლებმა ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერები 10 ივლისს დადგეს გორის რაიონის სოფლებთან ხურვალეთთან და წითელუბანთან და ოკუპირებული ახალგორის რაიონის სოფელ ორჭოსანთან.

ინგა შიოლაშვილი



# თეა წულუკიანი – მთავრობა ყველაფერს გააკეთებს, რომ ბომბები არ დაგვეცეს თავზე

მთავრობა ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ბომბები არ დაგვეცემა თავზე, - ამის შესახებ იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა “პალიტრა ტვ”-ის გადაცემა “პროვოკატორში” სტუმრობისას განაცხადა.

მისივე განმარტებით, რუსეთის მიერ საოკუპაციო ზოლის კიდევ 300 მეტრით გადმოწევა სანერვიულოა, მაგრამ ომის საშიშროება არ არსებობს. “სანერვიულო არის ის, რომ აგრესორი, რომელსაც უკავია ჩვენი ქვეყნის ტერიტორია, ასე ნაბიჯ-ნაბიჯ მოიწევს. როგორც ჩანს, მისი მიზანია, იქ, სადაც, თავის დროზე, იყო ავტონომიური ოლქის ხაზი, დაარჭოს თავისი თათი თუ დავარქვათ ბანერი. როგორ შეიძლება ეს არ იყოს სანერვიულო, მაგრამ თუ სანერვიულოში იგულისხმება ის, რომ შეიძლება ქვეყანაში ომი ატყდეს, ამის საშიშროება არ არის. მთავრობა ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ბომბები არ დაგვეცემა თავზე. ამიტომაც არის ეს მთავრობა ორწელიწადნახევარია რთულ მდგომარეობაში — თან პრაგმატულად, გონივრულად უდგება საკითხებს და იჩენს სიფრთხილეს, თან სახელმწიფოს აძლიერებს, თან ევროპულ გზაზე მიიწევს და სტაბილურობას ინარჩუნებს. ჩვენ ის ხალხი ვართ, ვინც ბევრი უბედურება, ბევრი მსხვერპლი გავიარეთ. ყველანაირი სტაბილიზაციისთვის, მშვიდობისთვის შექმნილი საფრთხე არის ჩვენი სახელმწიფოებრივი განვითარებისთვის შექმნილი საფრთხე, ანუ ჩვენი მიზანია, რომ სტაბილურობა შევინარჩუნოთ ქვეყანაში და განვვითარდეთ. ის, რომ ჩვენ ვვითარდებით, აბრაზებს ვიღაცას, არ უხარია ვიღაცას და ამიტომაც ხდება, რომ მწვანე ბანერებით ბარათს ამოგვიღებენ ნუ ვითარდებითო. ჩვენ მაინც განვვითარდებით, მაინც კიდევ უფრო ძლიერი სახელმწიფო ვიქნებით, ვიდრე ვართ და საქართველოც გამთლიანდება”, - განაცხადა წულუკიანმა.

რაც შეეხება რუსეთის მორიგ ქმედებებთან დაკავშირებით შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის განცხადებას, რომელმაც საზოგადოების ნაწილის კრიტიკა გამოიწვია, იუსტიციის მინისტრის მტკიცებით, პაატა ზაქარეიშვილი აფხაზებსა და ოსებთან ნდობის აღდგენის მიმართულებით ძალიან ბევრს მუშაობს.

“არ მინდა მისი ადვოკატი გამოვიდე. მეც მაბრაზებს ხანდახან და მეც ვაბრაზებ ხოლმე, მაგრამ ბატონი პაატა ძალიან ბევრს მუშაობს აფხაზებთან და ოსებთან ნდობის აღდგენის კუთხით და ცდილობს კავშირების გაბმას. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენ მარტო ტერიტორიები ხომ არ გვაქვს იქით? ჩვენ იქით გვყავს ხალხი. როცა დეოკუპაცია დაიწყება და ეს დრო დადგება, თუ ხალხმა თქვა, რომ მე შენთან არ მინდა, რას ვიზამთ? არ შეიძლება ეს დავუშვათ. ჩვენ ყველას გვაქვს შეცდომები დაშვებული. თუ ჩვენ დავიწყებთ შეცდომებზე ლაპარაკს, მათაც გაუადვილდებათ შეცდომებზე ლაპარაკი. ჩვენ ხელი ხელს უნდა ჩავკიდოთ. ისინი ასიმილაციის საფრთხის ქვეშ არიან და ჩვენ უნდა გადავარჩინოთ”, - აღნიშნა იუსტიციის მინისტრმა.

# თინა ხიდაშელი – მთავარი ამოცანა ომის თავიდან არიდებაა

თავდაცვის მინისტრის თინა ხიდაშელის განცხადებით, პოლიტიკას, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება ატარებს, ყველაზე სწორია. თინა ხიდაშელის თქმით, ქვეყნის ხელისუფლების მთავარი ამოცანაა არ დაუშავს ომი საქართველოს ტერიტორიაზე.

,,მე ამ ხელისუფლების ნაწილი ვარ და ამ მთავრობაში მინისტრი ვარ ზუსტად იმიტომ, რომ რა თქმა უნდა, ვფიქრობ, პოლიტიკა, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება ახორციელებს, ეს არის ყველაზე უფრო სწორი, ეფექტური, მაღალი პასუხისმგებლობის მატარებელი და საიმედო ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის. ჩვენი მთავარი ამოცანაა არ დავუშვათ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ომი და ამას წარმატებით ახორციელებს ჯერჯერობით საქართველოს ხელისუფლება”, - განაცხადა თინა ხიდაშელმა.

# ბექა გონაშვილი – ფერმერი



## 5 ივლისი,კვირა

დილა ჩვეულებრივად შვიდისთვის დაიწყო: მეყველეთა გილდიის თავჯდომარე ანა მიქაძე და ქალბატონი მანანა გადავიყვანე ზურას ფერმაში. ანა საცდელ რეჟიმში ამზადებს ყველებს ზურას და გიორგის ფერმის რძისგან. როგორც თავად ამბობს, ძალიან საინტერესო და მათ პრაქტიკასთან უჩვეულო შემთხვევებთან აქვთ საქმე. „ფრეში“, ანუ ახლად მოწველილი რძე სულ სხვა ხასიათისა, ვიდრე ის, რისგანაცაქამდე აკეთებდნენ ყველს. ტექნოლოგიის შეცვლა უწევთ, წვალობენ. მაგრამ თან ძალიან უხარიათ, რომ ასეთ უნიკალურ რძეს მიაგნეს — დაავადებებისგან თავისუფალს, პირდაპირ წველის დროს რომ დალევ კაცი უშიშრად, არ შეგეშინდება ბრუცელიოზის, მასტიტისა თუ სხვა დაავადებებისა.

მთავარი ისაა, რომ ზურაც და გიორგიც 25-26 წლის ახალგაზრდები არიან და თავიანთი არაადამიანური შრომით აჩვენებენ ანას, რამხელა ტვირთია ფერმაში შრომა. სწორედ მათზე გადის ამ ქვეყნის მომავალი.

საკვების საწარმოში გადავედი, ხვალე თელავში უნდა წავიღო ჩემს ქარხანაში დამზადებული ღორის საკვები. პირველი გასვლაა, ვნახოთ, რა მოხდება. ის კი ვიცი, რომ შედეგით ყველა კმაყოფილი იქნება: ოთხი თვის ღორს რომ 90-100-კილოიანებს დაკლავენ, ნაცვლად 8-10 თვე ლოდინისა, ეს საშუალებას აძლევს ფერმერებს, წელიწადში სამჯერ მოასწრონ ფულის შოვნა. ვნახოთ...

შუადღეზე საკვების „სტიკერების“ დიზაინზე წავიმუშავეთ, უნდა შევცვალო. ასეთი კაი პროდუქტი უკეთეს დიზაინს იმსახურებს ნამდვილად. :-)

## 6 ივლისი,ორშაბათი

დილას, 6-ის ნახევარზე, ჩემი თეთრი რაშით, „ფორდის“ მარკის მინი-სატვირთოთი, თელავს გავეშურე. ძალიან მიყვარს ეს ქალაქი, მერვე კლასი აქ ვისწავლე. ის ერთი წელი სრულიად საკმარისი გამოდგა, რომ უზომოდ შემყვარებოდა თელავი — ხალხი, კლასელები, ნათელა მასწავლებელი, რომელსაც არასდროს გამორჩება ჩემი დაბადების დღე. მე თუ დამავიწყდა, იმედიანად ვარ: ვიცი, რომ მას არ დაავიწყდება მოლოცვა. :-)

პროდუქტი მოეწონათ, გაუხარდათ. კარგ ფასში შევთავაზე და თანამშრომლობაზეც შევთანხმდით. ის კი არა, ხელოვნური განაყოფიერების სწავლა გვინდა ძროხაშიც და ღორშიცო, სპეციალისტები არ ჰყოლიათ. მაგაშიც უნდა დავეხმარო. ეგ საქმე ჯერჯერობით (და, ალბათ, კიდევ რამდენიმე წელი) ბიზნესად ვერ გამოდგება, მაგრამ ვიღაცამ უნდა დაიწყოს ჯიშების გაუმჯობესება აქტიურად. აქამომდინ ძალიან ბევრი გრანტი დაიხარჯა ამ მიმართულებით, მაგრამ არაფერი გამოვიდა, რადგან, სამწუხაროდ, ხალხია არასწორად მომართული, სიახლეების დანერგვა არავის უნდა. უფრო სწორად, როგორ არ უნდა! უბრალოდ, აქ ორი კატეგორიაა ფერმერების: ვისაც სურს, მაგრამ რისკის და ამ რისკთან დაკავშირებული ხარჯების ეშინია (ისინიდაიღალნენ მრავალი ასეთი სიახლის შეთავაზებით, რომელმაც ჩვენს პირობებში არ გაამართლა, და ამიტომ ალმაცერად გიყურებენ); და ვისაც უნდა, რომ ვიღაცამ (მაგალითად, მთავრობამ, ან დეპუტატმა, ან გამგებელმა) დაუხნას, დაუთესოს, ძროხაც მოუწველოს, ძროხის კვებაზეც იზრუნოს და, ბოლოს, მზამზარეულ მაწონში ისევ მზამზარეული პური ჩაუმტვრიოს. აი, ეს ღუპავს დღეს ჩვენს სოფლის მეურნოეობასაც, თავად სოფელსაც და ქვეყანასაც. მართლა მომენატრა ახალი მშრომელი და შემართებული ახალგაზრდების გაცნობა...

დედოფლიწსყაროში დაბრუნებული, კალოზე გადავედი, მამაჩემი დღეს მორჩა მოსავლის აღებას, წრეულს ბარაქიანი წელი იყო, მარცვალი კარგად მოვიდა, ცოტა ხორბალმა ვერ მისცა ხალხს ის შედეგი, რასაც ელოდნენ, მაგრამ ქერებმა ივაჟკაცეს, აავსეს ქიზიყის ბელელ-კალოები.

ჩემი პატარა ცოლი, ნინიკო, დღეს საღამოს, როგორც იქნა, გავასეირნე. არადა, ახლა მას სეირნობა ძალიან სჭირდება, მალე პატარა მეცხვარეს გამიჩენს, ნანატრს! აგერ უკვე მეშვიდე წელია, ეს ერთი და სხვა მრავალი! მრავალი, მაშ, ჩვენ ხო წინდაწინ ათ შვილზე შევთანხმდით... :-)

## 7 ივლისი,სამშაბათი

გუშინწინ დღიურში არაფერი ჩამიწერია ერთ საკმაოდ უცნაურ შემთხვევაზე, რაც ისევ და ისევ მაღალი ტექნოლოგიების დახმარებით მოხდა, შეიძლება — პირველადაც კი ქართულ აგრარულ სივრცეში.

საქმე ისაა, რომ გიორგიმ ფერმიდან მწყემსი გაუშვა 1 ივლისიდან, ანუ დამხმარე აღარავინ ჰყავდა და 35-მდე ძროხას თავად უვლიდა. ძალიან იღლებოდა. კვირას მე და ქაჩალიჩმაც მოვინახულეთ და საღამოს ნახირშიც მივეხმარეთ, მაგრამ მთელი დღით ვერ დავეხმარებოდით, რა თქმა უნდა. ხოდა, ამ წვალებას ანა მიქაძემ რო უყურა, ქალაქში გაბრუნებულმა, ეგრევე ფეისბუკს მიმართა და დაწერა, მოხალისე ხო არავინ ხართ, რომ ფერმაში სამუშაოდ წამოხვიდეთ რამდენიმე დღითო. ხოდა, აგერ ათი კაცი გამოეხმაურა, ამ ათიდან სამმა დაურეკა, წამოვალთო, ხოლო მეორე დღეს, თბილისიდან 7-ზე გამოსულს, გზაში ეკა დაეწია, რომელიც თავისი მანქანით და ეკიპირებით წამოვიდა. ეკას არ ვიცნობდი, მაგრამ ფეისბუკის და, ზოგადად, ინტერნეტის დახმარებით ბევრი მეგობარი მყავს და აღმოჩნდა, რომ ეკა ლუარსაბ ტოგონიძის, ჩემი ინტერნეტით გაცნობილი და აწ უკვე რეალური ცხოვრების ძმაკაცის ცოლისდაა, რამაც გამახარა, გამაოცა და გამაამაყა კიდეც ერთდროულად!

წავიყვანე სტუმარი, ნახა ფერმაც, იშრომა კიდეც. ანასთან ერთად გვიანობამდე იყვნენ ფერმაში. გიოს ეხმარებოდნენ წველაში, საკვების დაყრაში, დახვეტაშიც კი, და გასავათებულები ამოვიდნენ ღამის 12 საათზე. მაგრამ მოტივირებულები არიან: ხვალეც წავალთო, იძახიან!

აქ დამებადა იდეა, რომ გავაკეთო ინტერნეტრესურსი, აგროლანსერის სამსახურით. ვისაც სოფლის მეურნეობა აინტერესებს, ან სურს მომავალში ამ საქმეს მოკიდოს ხელი, კარგი საშუალება ექნება, რომ პრაქტიკა მიიღონ, ხოლო თავად იმ ფერმერს, ვინც მათ მიიღებს, თუნდაც ერთდღიანი უფასო (კვების და ცხოვრების ხარჯების ანაზღაურებით) მუშახელი ეყოლება, რომელიც მიეხმარება. კარგია, უნდა მოვქოქო ეს იდეა, ისევე, როგორც ფერმერთა სოციალური ქსელის იდეა, მააშ: შრომამ შექმნა ადამიანი, ინტერნეტმა დახვეწაო! :-)

დღეს ერთმა კარგმა ამბავმა გამახარა: თელავში საკვები კარგად გაყიდულა. 14 ტომარა გაიყიდა გუშინ ჩატანილი, მაშ ხვალე უნდა მივაშველო უკვე სხვა პროდუქტებიც. დავღერღეთ, გავამზადეთ, შურიკა ძია მიმყოფოს ღმერთმა კარგად, ქარხანას ისე კოხტად და საათივით ამუშავებს, ერთი გრამი მტვერი არსად არის. აკი იძახის ხოლმე: აქ რომ კაცი მოვა, შარვალ-კოსტუმითაც რომ მუშაობდეს და მერე ქორწილში წავიდეს, არ უნდა შერცხვესო. :-)

რახან მოსავლის აღებას მორჩა, ხვალე მამაჩემი მთაში მიდის, ცხვართან. მეც ძალიან მომინდა! ამას წინათაც ვაპირებდი, ჭიის წამალი რო წაიღო. ვიფიქრე, წავსულიყავი ორი-სამი დღით და მე დამელევინებინა: თან საქმეს გავაკეთებდი, და თან დავისვენებდი ამოდონა ორომტრიალისგან. მაგრამ ნინიკოს ახლა ვერ დავტოვებ, წელს მომიწევს ცხვარში, მაქსიმუმ, ერთდღიანი ვიზიტით შემოვიფარგლო და მაქსიმალურად მობილიზებული ველოდო პატარა მწყემსს... :-)

## 8 ივლისი,ოთხშაბათი

დილიდან თელავს გევეშურე, დავცალე პროდუქცია, მაგრამ ჰაა, პოლიტიკაზე კამათს მაინც ვერ ავცდი გაგანია წინანდლის ბოლოებზე. ამერიკა რო ფინთია და რუსეთი რო მაინც ერთმორწმუნეა, ეგ გავარჩიეთ მე და გიამ, მეგუთნიშვილმა. :-)

ეს ამერიკა რო უვარგისია და სატანის მონაშენი, გავიგე, მაგრამ ეს რუსეთი რანაირადღაა ამ ტანჯული ქვეყნის მოამაგე, ერთი ეგ ვერ ამოვიკითხე ამ 200 წლის მანძილზე ნაწერ ვერც ერთ ისტორიის წიგნში. ჩემი აზრით, არც ერთი უქნია ღმერთს საჩვენოდ, არც მეორე, და არც კიდე სხვა ქვეყანა, ყველას თავისი ინტერესი აქვს და იმ ინტერესს ატარებს, ეგ ჩვენა ვართ უბედურები, რომ საკუთარი არც ინტერესი, არც მაგ ინტერესზე დაფუძნებული სტრატეგია, და არც ამ სტრატეგიის განხორციელების სურვილი არ გაგვაჩნია. ყველა თავისასა წადინობს და თანაც, ისე წადინობს, რომ სხვისა თუ გადაეღობა წინ შემთხვევით, მაშინათვე ძირიანად სპობს და ანადგურებს. არც კი გაიხედავს წინ, იქნება და აწყობს კიდეც, ვიღაცასთან გაამხანაგებით იაროს მიზნისკენ... ეეჰ, ილიამ ვერ გაასწორა ეს ქვეყანა, და მე რას ვიქამ, აბა?!

ძალიან ბოდიშების ხდით, როგორც იქნა, დღეს დავჯექ და „მერსი კორპსისთვის“ საჭირო დოკუმენტაცია დავასრულე. ეს ორგანიზაცია მეცხვარეთა ასოციაციას გვეხმარება სასწაულად! ჰელენი, მათი ხელმძღვანელი, შეიძლება ითქვას, ძალით მაკეთებინებს იმ საქმეს, რაზეც ძალიან ხშირად მითქვამს, უნდა შევეშვა, დრო აღარ დავკარგო და მხოლოდ საკუთარ საქმეზე ვიფიქრო-მეთქი, გავეშვა ამ საქვეყნო სატკივარზე სირბილს წინ და უკან, ყვირილს პრესით და გამოსვლებით ტელევიზიებში, რადიოებში. ვაცნობ ხალხს ამ ცხვარმეცხვარის პრობლემას, გამგონეც ბევრია, ესმით, განა არ ესმით, მაგრამ ნაბიჯის გადადგმა ძალიან გვიანდება, ხანდახან რაც იდგმება, ისიც არასწორია. მერე იმაზე მეშლება ხოლმე ნერვები, მაშ, ასე არასწორად გადმოვცემ-მეთქი იმას, რაც გასაკეთებელია?!

ამ ბოლოს რამდენიმე ფაქტის გამო პირდაპირ ვთქვი კიდეც, რომ მე ამ ასოციაციას უნდა გავანებო თავი-მეთქი, მაგრამ მერე ხან ცხონებული პაპაჩემი, ხან სპირიდონა პაპა, ხან სეიფუნა ღულელაური, ხან ფიდო გაფრინდაული, საშიშა და მამამისი ჯუმბერა ძია, ხან შემზარავი გოგია და მათი დაკოჟრილი ხელები, ნაადრევად დაბერებული, მაგრამ გულად მოახალგაზრდავე სახეები ამომიტივტივდება გონებაში და გული ისევ მომიბრუნდება ხოლმე. იმ დღეს მამაჩემმაც მითხრა (არ ვიცი, იგრძნო თუ რაა), ამ ასოციაციას თავი არ გაანებო, ხალხი გენდობა, წლები დაგჭირდა, მაგრამ ყველა კატეგორიის ხალხში, როგორც მეცხვარეში, ისე სხვა პროფესიის ხალხში ნდობა გაქვს და მაგ ბრძოლას ბოლომდე მიყვანა უნდაო. ძნელია, მაგრამ ამჯერადაც დამძალა, მიმიბრუნა გული, შემოდგომიდან ბევრი რამის კეთებას დავიწყებ... უფრო მეტად თავდაუზოგავად.

## 9 ივლისი,ხუთშაბათი

წუხელ ცოტა ნინიკომ შემაშნა, მუცელი ტკიოდა. ამიტომ ხვალე ქალაქში უნდა წავიყვანო.

ძალიან ბედნიერი ვარ მისით, არც ისე ბევრია თბილისში დაბადებული და გაზრდილი გოგო, მიჩვეული შარდენსა და მეგობრების გარემოში ყოფნას, ერთ დღეს ქმარს სოფლად საცხოვრებლად გაჰყოლოდეს. თანაც როგორ?! ჩემი ძმაკაცების შვილების ნათლია ის არის. ჟ იმდენად ყველას შეაყვარა თავი და იმდენად თბილია, რომ, ასე მგონია, აქაური იყო და არის კიდეც. ქუჩაში ჩემზე მეტად მას ესალმებიან, მოიკითხავენ ხოლმე, ბაზარში გამყიდველი ქალები სულ ტუსტუსით დაჰყვებიან და ეფერებიან. :-) წლების წინ ბუღალტერიც ეგ იყო ჩემი, საქმის მწარმოებელიც, ფინანსური და საგადასახადო რომ დამესხა თავს ორივე კომპანიაზე, მაშინ სწორედ ნინოს და მამაჩემის სწორად აღრიცხვიანობის გამო გადავრჩი დიდ ჯარიმებს, უკვირდათ აუდიტორებს ასე სწორად დალაგებული დოკუმენტაცია ჯერ არ გვინახავსო!

ჩემს ამჟამინდელ ბუღალტერს ვესაუბრე დღეს ტელეფონით. თბილისშია, თავად ტრენინგებზეა, ხოლო უფროსი ვაჟი, ილიკო, რომელიც წელს აბარებს, კარგად მიიწევს წინ ეროვნულებშიო. მასეც ვიცოდი! მაგარი ბიჭია! და, რაც ყველაზე მეტად მახარებს, როცა ნატომ დაიწყო ჩემთან მუშაობა, ნელანელა ნახა, რასაც ვაკეთებდი და რა პრობლემებიც მქონდა, მაგალითად, კადრების სიმცირე, ის რომ ვეტექიმების კატასტროფული დეფიციტი გვაქვს, ძალიან ცოტა რო არიან და ისიც მოხუცები, ილიკომ გადაწყვიტა, რომ ვეტერინარულზე ჩააბაროს! ბრავო! აი, ამისთვის ღირდა ჩემი 4-5-წლიანი წვალება დედოფლისწყაროში. მე მას ყველანაირად ხელს შევუწყობ, ყველგან გავუშვებ, სადაც მივწვდები (გრანტები და ასე შემდეგ), და ექვსი-შვიდი წლის მერე რაიონს ერთი კარგი ახალგაზრდა სპეციალისტი ეყოლება, და მის მაგალითს ვინმე მისი მეზობელიც მიბაძავს, ნახავს, რომ ის დასაქმდა, კარგად ცხოვრობს, ანაზღაურებაც აქვს და თან მოთხოვნადია. მერე ის მეზობელიც, იმედია, აღარ ჩააბარებს არარსებულ პროფესიაზე, როგორიცაა „საბანკო საქმე“, „საბაჟო საქმე“, სადაც, რას ასწავლიან ოთხი-ხუთი წელი, ჩემამდე არ დადის, და მერე ისევ სიგარეტის ან მაკარონის დისტრიბუციაში იწყებ მუშაობას. მაგრამ რა გინდა, ძმაო, დიპლომი უდევთ შინ ისეთი, ქვას გახეთქავს!

მოკლედ, ფრიად კარგი დღე იყო სიამოვნებისგან ხელების ფშვნეტისა.

## 10 ივლისი,პარასკევი

დილით საქმეებს მივხედე, ფერმაშიც ვიყავ, ანაც ვინახულე. ანას შვილის, ბექას დამზადებული სულგუნი გავსინჯე... კატასტროფულად მაგარი რამ, სასწაული! ბავშვობიდან ძროხას, რძეს და ყველს ვუყურებ, ვჭამ, მაგრამ ასეთი რამე არ გამისინჯავს! ბრავო! ესეც კიდევ ერთი ჯეელი ახალგაზრდა, თავისი საქმის უზადო მცდონე, მოყვარული და ამ დალოცვილი ქვეყნის პატრიოტი, ოღონდ არა სიტყვით, ყანწების გამოცლით ან პატრიოტულ მოტივებზე მხატვრულად ლექსწამკითხველი, არამედ რუდუნებით, თავჩახრილად მომუშავე.

საქმეები მივალაგ-მოვალაგე, ორი-სამი დღით რომ ქალაქად ვიყო. უკვე ბევრი ვინმე მელოდება ქალაქში, ხვალინდელ დღესა ვგეგმავ. დედოფლისწყაროში ეს ასე არ იყო, საათებში გაწერა არ მიწევდა ჩემი გრაფიკისა, აი, ამიტომ არ მიყვარს თბილისი. რამე შეხვედრას ან საქმეს ვერ გათვლი სწორად და წასულია შენი საქმე, წინდის თვალივით აირევა გეგმა და მერე იწყება გადარბენა, ვიღაცის ლოდინი, ბოდიშების ხდა და ასე შემდეგ.

ისე, ორი-სამი კვირაა, არ ვყოფილვარ აქეთ და გზებზეც რამდენიმე რამე იყო შეცვლილი, გაგეცინება კაცს. სართიჭალაში სანიაღვრეს აშენებდნენ, კარგია! ბურებს გოჭების საჭმელი წამოვუღე და ეგ დავუტოვე, მთხოვეს, იქნება ხვალე გარდაბანში ჩვენი ფერმა მოინახულოო, რაღაცებს ვგეგმავთ, თან სხვა ბურებსაც უნდათ შენი გაცნობაო და რჩევები გვჭირდებაო. შევთანხმდით: ხვალე, 8-ზე, ორთაჭალაში შევხვდებით და წავალთ. პივოტები უნდა დაეყენებინათ და საინტერესოა.

სახლში რო მოვედი, დედაჩემმა მახარა, რო მამაჩემს მოუტანია წიგნი, სადაც ყველა წყაროა ამოკრეფილი, სადაც გონაშვილები არიან მოხსენიებულნი. საინტერესო რამე ჩანს, უნდა ჩავუჯდე, თანაც პატარა მეცხვარე ჯერ კიდე უსახელოა, ვერ მოვიფიქრეთ მე და ნინიკომ, რა დავარქვათ. ხოდა, შეიძლება სწორედ მანდ ამოვიკითხო მისი სახელი, ვინ იცის... :-)

საღამო მშვიდად ჩავატარე, კარგი გემრიელი კაცი, ზურა ფიროსმანაშვილი მესტუმრა. მომავალ კვირაში ძროხების ჰოლანდიელი კვების სპეციალისტი ჩამოდის მათთან და უნდა შევხვდეთ, კახეთშიც უნდა წავიყვანოთ და ფერმები ვანახოთ: რა მდგომარეობაა, რას აჭმევენ ახლა, ყველაზე ოპტიმალური რაციონის შედგენა რომ შევძლოთ. კარგია! ანუ სწორი კვება, საკვების დამზადება, მცენარეთა დაცვა, ვეტერინარული მომსახურება, ჯანმრთელი პირუტყვი, ჯიშობრივი გაუმჯობესება — ეს ისაა, რაც ხვალინდელ ქართველ ფერმერს ქმნის და ჩვენც ამას ვქმნით უკვე ხუთი წელია. კადრებში გვიჭირს, მაგრამ მაგასაც ვუმკურნალებთ ღვთის მადლით.

## 11 ივლისი,შაბათი

დილას წავედი გარდაბანში, ლემშვენიერას ტერიტორიაზე, ნაციონალების დროს ბურებს რო მიწები მისცეს, იქ. მომეწონა, სულ პივოტები უყენიათ სარწყავად. ჩარლზს ცხვარიც ჰყავს 500 სულამდე და წუხელ მგელი დასცემიათ და ცხრა სული დაუხოცა, 14 კიდე გაუფუჭა, ვუმკურნალეთ, როგორც შეგვეძლო. მანახა წყლის რეზერვუარიც, საიდანაც პივოტებს წყალი უნდა მიეწოდოს. გამაცნო სხვა ბურებიც, ბევრი კითხვა ჰქონდათ. გავუზიარეთ გამოცდილება ერთმანეთს. ძალიან მშრომელი ხალხია! ვენაცვალე მაგათ. საერთოდ, ყველა მშრომელ ადამიანს გაუმარჯოს ღმერთმა: ქართველია, ირანელი, ინდოელი თუ ბური. ძალიანაც კი მინდა, რომ ეგ მშვენიერ მიწები არა ბურების, არამედ ქართველების იყოს, მაგრამ ასე დებას რა აზრი აქვს, ქართველებისა არ იყო, რო ზედ არავინ არაფერი გააკეთა?! და დღემდე რამდენი მიწა გვიყრია მასე უქმად, მაგრამ დაიცაა... მოვა მთავრობა და მოგვიხნამს, მოგვითესავს და ლუკმას პირში ჩაგვიდებს მერცხლის ბახალასავით...

ჩამოვედი ქალაქში და ეგრევე ნოტარიუსთან მოვხვდი, ირან-საქართველოს სავაჭრო პალატის საბჭოს წევვრად ამირჩიეს და ეგ უნდა გაფორმებულიყო. რამდენი ასეთი ორგანიზაციის წევრი, დამფუძნებელი და საბჭოს წევრი ვარ, ვინ მოთვლის! ხეირი არაფერია, მაგრამ ნაცნობობა კარგია, ბევრ რამეში გამომდგომია ასეთი ნაცნობობა, და მეც ბევრს გამოვდგომივარ. მაგრამ ძალიან ბევრ დროს მართმევს ასეთი ორგანიზაციების ფარგლებში აქტიურობა. ამიტომ საჭიროა, ორი ან სამი მაინც ვიყო, ან ამ დალოცვილ ღმერთს ვთხოვო, ეს 24 საათი ცოტა გაზარდოს.

ფიდომ დარეკა, მთიდან ჩამოველ, კლიენტი ხო არავინააო. მე ვუთხარ, აგე რამადანი რო დამთავრდება, ველოდები-მეთქი არაბებსა. ხოდა დაილალე და ამოდი თუშეთშიო, წელს შენი იმედი გვაქვსო თუშებსაო, შარშანდელივით საცოდავ ბედში არ ჩავცვივდეთ, ვაჭრებს რო „პოსლეზე“ გავატანეთ მთელი წლის ნაჯაფიო... ეგე, ამის გამო მიბრუნდება ხოლმე ისევა გული მეცხვარეთა ასოციაციისკენ, მათ დახმარება ჭირდებათ...

სტუდიაში წასვლამდინ „ლივინგსტონში“ შევუარე ირაკლის. სრულდება ჩვენი პროგრამაც. ბიჭები მიკეთებენ ხელოვნური განაყოფიერების „სოფტვერს“, გადამყვნენ ზედ, მაგარი გამოდის, საამაყო ნამდვილად! ბევრი სასარგებლო აპლიკაციის გაკეთება შეიძლება ერთობლივად, ძალიან ნასიამოვნები ვარ! მოკლედ, ახალ ტექნოლოგიებს ფეხს და ხელს ვუწყობთ ქართველი ფერმერები!

მაშ, გასრულდა ესე ამბავი ამ კვირაში ნაგროვები, თუ ამ დღიურის წაკითხვის ან მოსმენის მერე ერთით მეტი ფერმერი გვეყოლება საქართველოში, ერთით მეტი ადამიანი დააფასებს ფერმერის შრომას, მაშ ტყუილად არ მიწერნია ამდენი, იმიტომ რომ „ფერმერი არის გმირი“!!!

რადიო „თავისუფლება“

# ჩვენი წარსული ჩვენი მომავალია



საქართველო, თავისი მდებარეობით, სატრანზიტო ქვეყანაა და იგი აღმოსავლეთს ევროპასთან აკავშირებს. ოდითგან გვსმენია „აბრეშუმის გზის“ დადებითი გავლენა საქართველოს ეკონომიკასა და განვითარებაზე. ახლა აღსდგა აბრეშუმის გზის მარშრუტი და პირველმა ტვირთმა უკვე დაიწყო საწყისი მოძრაობა ჩინეთიდან. ეს ჩვენი ქვეყნისთვის ერთ-ერთი წინგადადგმული ნაბიჯია.

არაერთი სავაჭრო-საქარავნო გზა არსებობდა საქართველოზე გავლით. ერთ-ერთს ქიზიყი, კონკრეტულად კი კაბისინი იგივე კამბეჩოვანი, დღევანდელი დედოფლისწყარო წარმოადგენდა. ბევჯერ გვითქვამს, რომ დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მრავალი საინტერესო მასდალა ინახება, რომელიც ნათელს ჰფენს ჩვენს წარსულს.

ამჯერად, სასანურ ირანთან საქართველოს დამაკავშირებელი ერთ-ერთი გზის შესახებ ვისაუბრებთ. ჩვენი სტუმარია **მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტი** ლალი ბასილაშვილი, რომელიც სამ ათეულ წელზე მეტი მუზეუმის ფონდების მცველის თანამდებობაზე მუშაობდა. მის თვალწინ შეიქმნა ეს უნიკალური ფონდი, მისი უშუალო მონაწილეობით იქნა მოპოვებული და დამუშავებული არაერთი ისტორიული ნივთი. მათ შორისაა „სასანური მონეტები“. ჩვენც ამ სავაჭრო-ეკონომიკურ გზას ამ მონეტების აღმოჩენიდან მივყვეთ.

**- ქალბატონო ლალი, სად და როდის აღმოჩნდა ეს მომენტები?**

- გასული საუკუნის 70-80 იან წლებში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ თავწყაროს „დიდი ჩრდილის ტერიტორიაზე“ და სოფ. არხილოსკალოს ბოლოს (ნეფროლოგიური სანატორიუმის მახლობლად), შემთხვევით აღმოჩნდა დიდი რაოდენობის „სისანური მონეტების“ განძი.

**გთხოვთ, ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით მოვუყვეთ, საიდან მოხვდა ამ ადგილებში ეს განძი, რა ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს სისანურ ირანთან და საერთოდ, ვინ იყვნენ ისინი?**

- III საუკუნის დასაწყისიდან მახლობელ აღმოსავლეთში გაჩნდა ახალი პოლიტიკური ძალა-სასანელთა ირანი, რომელმაც აღმოსავლეთის მთელი რიგი ქვეყნები დაიმორჩილა და უზარმაზარი იმპერია შექმნა.

როგორც ცნობილია, სასანუ-ბიზანტიური ხანა სავაჭრო ურთიერთობის აყვავების ხანა იყო. დროთა განმავლობაში მოთხოვნილება აღმოსავლურ საქონელზე, განსაკუთრებით აბრეშუმზე, სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა და მასში თანდათან ებმებოდა აღმოსავლეთის მთელი რიგი ქვეყნები. მათ შორის საქართველოც. ერთ-ერთი წყარო, რომელმაც ამ ხანაში მახლობელი აღმოსავლეთის გზები შემოგვინახა, არის რუკა. იგი IV საუკუნის რომაელი გეოგრაფის კასტროსიუსის მიერაა შედგენილი. ამ რუკაზე სქემატურად დატანილია სასანური ხანის სავაჭრო გზები. რომლებიც ძვირფას წყაროს წარმოადგენდნენ მახლობელი აღმოსავლეთის ეკონომიკური საკითხების გადასაჭრელად. აღნიშნული შემოვლითი გზის მონაკვეთი კი ჩვენ გვაინტერესებს იმდენად, რომ იგი კახეთსა და ქიზიყზე გადიოდა.

სასანური მონეტების დიდი რაოდენობით შემონახვის ფაქტი მაინც და მაინც დედოფლისწყაროს ტერიტორიაზე (სოფ. არხილოსკალოს და სოფ. თავწყაროს მიდამოებში), ეგებ იმაზეც მიუთითებს, რომ თვით მათი მოჭრის დროსაც ჩვენი რაიონი სავაჭრო ურთიერთობის ასპარეზს წარმოადგენდა.

**- სხვა რა წყარო ადასტურებს ამ გზის არსებობას?**

შემოვლითი გზის არსებობას ადასტურებს დიონ კასიოსი - (მესამე საუკუნის ბერძენი ისტორიკოსი). ის მოგვითხრობს, რომ პომპეუსი- რომაელი სარდალი, რომელმაც ილაშქრა საქართველოში (ძვ. წ. 65 წ) — „გავიდა კირნოსზე (მდ. მტკვარი) აქედან კამბისამდე (კამბეჩოვანამდე) მას არავითარი ვნება არ შეხვედრია მოწინააღმდეგისაგან... მეგზურებმა, რომლებიც ტყვეთა რიგებიდან იყვნენ, წაიყვანეს ისინი ნაკლებად მოსახერხებელი გზით. არც აქ შეხვედრიათ მათ არავითარი წინააღმდეგობა“.

ამ თხრობაში საინტერესოა, რომ ალბანეთისაკენ (აზერბაიჯანი) პომპეუსის მიერ არჩეული გრძელი გზის გარდა, ყოფილა მოკლე გზაც. ეს გზა, უნდა ვიფიქროთ, რომ მიემართებოდა კოლხეთიდან ჯავახეთზე და თრიალეთზე, შემდეგ გარე კახეთის გავლით ქიზიყისკენ და ალაზანს გადალმა ბელაქნისკენ.

როგორც ვიცით, მეგზურებმა რომაელები წაიყვანეს ნაკლებად მოსახერხებელი გზით, გრდა ამისა, დიონის ცნობით, მათ აწუხებდათ სიცხე და წყურვილი. ასეთ მდგომარეობაში ისინი შეიძლება ყოფილიყვნენ ივრის შუა წელიდან ქვედა წელამდე, გარეჯის, ქიზიყის, შირაქისა და ელდრის მიდამოებში. ამ ტერიტორიიდან რომაელები გადავიდნენ ალაზანზე, იქ შეხვდნენ ალბანელებს და დაამარცხეს.

დიონ კასიოსის ცნობით ზემოხსენებული, ნაკლებმოსახერხებელი გზა - სომხეთიდან ალბანეთისკენ გადიოდა ქიზიყზე, კონკრეტულად ხორნაბუჯის მიდამოებზე.

მაშასადამე, ამ ხანებში ქიზიყი, როგორც სასანური ირანის უახლოესი პროვინცია, განსაკუთრებული მნიშვნელობას იძენდა, ვახანგ გორგასალის წინააღმდეგ საბრძოლველად წამოსული ხოსრო მოდის და ზედიზედ იღებს ქ. ხონაბუჯს, ჭერმის ციხეს და ველისციხეს, ამრიგად, ჯუანშერიც XI საუკუნის მემატიანე, გვაწვდის მარშრუტს ხორნაბუჯიდან ჭერმის ციხემდე.

ხორნაბუჯის მიდამოებში არქოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა ადასტურებს, რომ ქიზიყში ანტიკურ და ადრე ფეოდალურ ხანაში ინტენსიური ცხოვრება მიმდინარეობდა. აღმოჩენილი არქოლოგიური მასალის ნაწილი ადგილობრივი არ არის და თავისი წარმოშობით უკავშირდება აღმოსავლური ცენტრების პროდუქციას, ხოლო ნაწილი ადგილობრივად უნდა იყოს დამზადებული, მაგრამ წარმოადგენს აღმოსავლური პროდუქციის მინაბაძს, ეს უკანსაკნელიც მიგვითითებს აღმოსავლეთის ქვეყნებთან ქიზიყის მჭიდრო ურთიერთობაზე. სასანური მონეტების არსებობაც მნიშვნელოვანი ფაქტია ამ ურთიერთობათა წარმოსადგენად.

დედოფლისწყაროში მოძიებული არქეოლოგიური მასალების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ გვიან ანტიკური ხანის მიწურულს და ადრე ფეოდალურ ხანაში ეს მხარე სასანური ირანის პროვინციებთან უშაულო ურთიერთობაში იყო ჩაბმული. იმ სავაჭრო-სამიმოსვლო გზასთან ერთად, რომელიც ბარდავ-განჯიდან მტკვრის ხეობით თბილისისკენ მოდიოდა, ამ ხანებში მნიშვნელობას არ უნდა ყოფილიყო მოკლებული აგრეთვე გზა, რომელიც ქიზიყზე იყო და გარე კახეთზე გავლით იბერიის დედაქალაქისკენ მიემართებოდა.

**- გმადლობთ საინტერესო საუბრისთვის. იმედია, მომავალშიც გავაგრძელებთ თანამშრომლობას და ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებადცნობილ არაერთ თემას შევეხებით.**

ესაუბრა ნაირა გორაშვილი.

P.S. დედოფლისწყაროელები დღესაც ოცნებობენ დიდი სატრანზიტო გზის გახსნაზე აღმოსავლეთის მხრიდან, რაც აუცილებლად დადებით გავლენას იქონიებს ჩვენს ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რაიონის ცხოვრებას უფრო აქტიურს გახდის და იმ ჩიხური პირობებიდან გამოგვიყვნს, რომელშიც დღეს ვართ მოქცეული. და როგორც ჩვენში ამბობენ. „ოცნებას კაცი არ მოუკლავს“. ვიოცნებოთ, იქნებ აგვიხდეს.



# ნახევარი საუკუნე ხალხის სამსახურში



**მინი დოსიე:** დაიბადა დედოფლისწყაროში, 1945 წელს, 11 ივნისს. დედა, ლიზიკო ლაპიაშვილი, მკერავი გახლდათ. მამა ქიტესა ბეგიაშვილი პროფესიით ბურღვის ტექნოლოგი, თუმცა, სხვადასხვა წლებში მუშაობდა ფინანსურ აგენტად, აღმრიცხველად კვების ობიექტებში ...ციცინო ბეგიაშვილმა დაამთავრა ჯაფარიძის არასრული საშუალო სკოლა, შემდეგ წარჩინებით -თბილისის ერთ-ერთი საშუალო სკოლა, რომლის დამთავრებისთანავე ჩაირიცხა თბილისის მესამე სამედიცინო სასწავლებელში, რომელიც აგრეთვე წითელ დიპლომზე დაამთავრა. 1965 წელს ერთი გამოცდით ჩაირიცხა თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ბიოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც 1971 წელს ასეთივე წარმატებით დახურა. 1964 წლიდან დღემდე ციცინო ბეგიაშვილი მუშაობს დედოფლისწყაროს პოლიკლინიკურ გაერთიანებაში.

იგი თავდაპირველად მუშაობდა ექთნად 1974 წლამდე, ხოლო 74 წლიდან ბიოქიმიური ლაბორატორიის ექიმი ლაბორანტია. აქვს 51 წლიანი უწყვეტი სტაჟი. 2005 წელს ქალბატონი ციცინო დასახელდა დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქედ, კახეთის ჯანდაცვის ცენტრის მიერ დაჯილდოვებულია სიგელით „მრავალწლიანი და ერთგული შრომისთვის ქვეყნისა და ხალხის სამსახურში“.

ბრძენსა ჰკითხეს: „რა არის მეცნიერება?“ მან თქვა: „ის რომ სცნობდე ადამიანებს.“ მას აგრეთვე ჰკითხეს: „რა არის სათნოება?“ მან თქვა „ის, რომ გიყვარდეს ადამიანები.“ სამწუხაროდ, დღეს ადამიანების გამოცნობაც გართულდა და ჩვენს ირგვლივ სათნოებაც იშვიათობად იქცა, აგრესიამ და დაპირისპირებამ მოიცვა ერი. ვფიქრობ, აგრესიას, რაც შეიძლება მეტი ადამიანის ქრისტიანული შეგნებით ცხოვრება და იქ მოპოვებული სიმშვიდე უნდა შევაგებოთ, რათა ერთმანეთი კვლავ ვიპოვოთ. სწორედ ამ ერთმანეთისადმი გაუცხოებულ და სათნოებამოკლებულ სამყაროში ვეძებ პიროვნებებს, რომლებიც მისაბაძები იქნებიან თავისი შეგნებითა და გაწეული შრომით ერთდროულად. ქალბატონი ციცინო ბეგიაშვილი ნახევარ საუკუნეზე მეტია, ჩვენი პოლიკლინიკის ექიმი ლაბორანტია და ერთ-ერთ ყველაზე სტაჟიან მუშაკად ითვლება თავის კოლექტივში. კარგ მედიცინის მუშაკობასთან ერთად იგი ექიმთა კოლექტივში ცნობილია, როგორც პოეზიის ტრფიალი და თავადაც არაერთი ლექსისა თუ სტრიქონის ავტორია. გაგებული, მეგობრული, თანამშრომელთა გულშემატკივარი, თავდაუზოგავი და საკუთარი საქმის ერთგული,- ასე ახასიათებენ მას კოლეგები. ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ ექიმთა უმრავლესობამ ქალბატონი ციცინო ყველაზე საპატიო მუშაკად დაასახელა. ციცინო ბეგიაშვილს სამუშაო ოთახში ვეწვიე.

**-ქალბატონო ციცინო, ამდენ მუშაობასა და სწავლაში როდის შექმენით ოჯახი და ვინ არიან თქვენი ოჯახის წევრები?**

-ოჯახი 1965 წელს შევქმენი, მეუღლე ძალიან შეგნებული პიროვნება შემხვდა, მთელი ცხოვრება კარგი ურთიერთობა გვაქვს. სწორედ მას მიუძღვის დიდი წვლილი ჩემს წარმატებულ საქმიანობაში, სტუდენტობის დროს მან ძალიან შემიწყო ხელი სწავლაში, ისე რომ, ოთხიანი არ მიმიღია, სულ ხუთებს ვიღებდი გამოცდებში. მყავს ორი ქალიშვილი- ხათუნა და ია მაისაშვილები, ხათუნა მუშაობს ექიმად ჩაჩავას კლინიკაში, მისმა ერთ-ერთმა შვილმა, უფროსმა შვილიშვილმა კავკასიის უნივერსიტეტი დაამთავრა, შემდეგ ავსტრიის საერთაშორისო სამართლის უნივერსიტეტი და ამჟამად შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტია. ჩემმა მეორე შვილმა, იამ, ასევე სამედიცინო უნივერსიტეტი დაამთავრა, თუმცა, არ მუშაობს თავისი პროფესიით, ის ჯავახიშვილის უნივერსიტეტში განაგრძობს მუშაობას. მისგან მყავს ორი შვილიშვილი, მისი უფროსი შვილი ქეთევან ბალაშვილი წელს აბიტურიენტია და ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე აბარებს.

**- რა მოგცათ წლებმა?**

-ბევრი რამ, პირველ რიგში ოჯახი, შვილები, შვილიშვილები, სამსახური, ხალხთან ურთიერთობა, უძილო ღამეები პაციენტებისთვის, რადგან, იყო წლები, როდესაც საათები ვუნდებოდით ანალიზის პასუხის მიღებას, გვყოლია მძიმე, კომაში ჩავარდნილი ავადმყოფები და მათთვის ანალიზი რომ გაგვეკეთებინა, ღამეები გვითენებია. ცხადია, ეს ყველაზე მეტად მეამაყება, რადგან როცა გაჭირვებულ ადამიანს ეხმარები, შინაგანად მეტ ძალას პოულობ შენს თავში. ამ წლებმა ხალხის სიყვარული მომცა.

**-რამდენადაც ვიცი, ყველაზე სტაჟიანი თანამშრომელი ბრძანდებით, როგორი განცდაა ეს, რას გრძნობთ ხალხისგან?**

-კი, აქ მუშაობის ყველაზე დიდი სტაჟი მე მაქვს, მინდა გავიხსენო ძველი თაობის ექიმებითამარ ჭეიშვილი, ლევან გიორგევიჩი- ბოსტოღანაშვილი, ციალა კალანდაძე, თენგიზ კოდიაშვილი, იზოლდი ბოსტოღანაშვილი, რომლებიც ძალიან მიყვარდნენ და უდიდეს პატივს ვცემდი, მათგან ბევრი რამ ვისწავლე. რას ვგრძნობ ხალხისგან?- ყველაზე მეტად მახარებს ის ფაქტი, რომ როცა ქუჩაში მხვდებიან პაციენტები და მათგან ყურადღებას და სითბოს ვგრძნობ, ამ დროს მე ბედნიერ ვარ. ისეთი განცდა მეუფლება, თითქოს გამოცდა ჩავაბარე წარმატებით და გახარებული მოვდივარ. ჩვენი საზოგადოება ძალიან მკაცრია და მეტს მოითხოვს მეორისგან, როგორც მოქალაქისგან, ადამიანები ექიმობის გარდა მოქალაქეობრივ დამოკიდებულებას მოითხოვენ ჩვენგან და მართალნიც არიან, ჩვენ ყველანი ერთნი ვართ, ერთ სამყაროში ვცხოვრობთ და ერთ მიწას მივებარებით, ამიტომ ყოველთვის ვცდილობ, თბილი ურთიერთობა ვიქონიო მათთან და სიყვრულსაც ათმაგად ვიმკი.

**- რას იტყვით ახალგაზრდა მედიკოსებზე, რომლებიც აქ, თქვენს კოლექტივში მუშაობენ?**

- ძალიან ნიჭიერები არიან, ეტყობათ, რომ თავისი საქმის სპეციალისტები და საქმის ერთგულები არიან, ცდილობენ მუდმივად შეითვისონ ახალი, რაც მომწონს მათში. მომწონს მათი კოლეგიალობა. კმაყოფილების გრძნობა მეუფლება, როდესაც ექიმი წინდაწინ ინტერესდება პაციენტის ანალიზის მდგომარეობით და სანამ პაციენტი წაიღებს თავის პასუხს, თავად ექიმი ინტერესდება მისი ანალიზის შედეგებით. მე, როგორც უკვე გამოცდილ და სტაჟიან თანამშრომელს, თუ ვინმე მეგობრულად გულს გადამიშლის და რაიმე რჩევას მკითხავს ცხოვრებისეული თვლასაზრისით, მუდამ მზად ვარ მოვუსმინო, ისე, რომ თითოეული თანამშრომელი მიყვარს და თითოეულს ვეფერები.

**- როგორია თქვენი დამოკიდებულება პაციენტებთან?**

- ძალიან კარგი, მიმაჩნია, რომ ექიმის დიაგნოზზე მეტად მოქალაქეებს ექიმის ტკბილი მოპყრობა კურნავს, ხშირად ყოფილა, რომ რაიმე მიზეზით ვერ ვაკეთებ ანალიზს, მე ვცდილობ ხოლმე, პაციენტს კარგად ავუხსნა მიზეზები. ყველანაირად ვცდილობ, რომ ავადმყოფი აქედან უკმაყოფილო არ წავიდეს.

**- რა უნდა ისწავლონ ადამიანებმა ცხოვრების ბოლომდე?**

- ადამიანი მთელი თავისი ცხოვრება ძიებაშია, თუ ამ ძიების სურვილი და უნარიც არ გააჩნია, მაშინ მისი ცხოვრება ფუჭია, მე მაინც მგონია, რომ ცხოვრებაში მთავარი ადამიანები, მათი ურთიერთობაა და ამ ურთიერთობაში ერთმანეთის დათმენაა მთავარი. ხალხმა მუდმივად უნდა ისწავლოს ერთმანეთის გვერდში დგომა, ერთმანეთის გატანა და სიყვარული. გარდა ამისა, ის მთელი ცხოვრება უნდა ეძიებდეს და სწავლობდეს, მუდმივად მიიღოს განათლება, რათა დასპეციალდეს!

**- და მაინც, როგორ ფიქრობთ, რა არის წუთისოფელი?**

- წუთისოფელში არაფერი არ არის იმაზე ძვირფასი, თუ რას დასტოვებ შენ ამ ქვეყანაზე, ეს არის შვილები, შვილიშვილები და სახელი. როგორ სახელს დატოვებ ამქვეყნად, აი, ესაა უმთავრესი. ამიტომ ისე უნდა ვიცხოვროთ, რომ არასოდეს გვეშინოდეს მომავლის. მთავარია, რომ წავალთ, რა დაგვრჩება აქ.

**- ქალბატონო ციცინო, იმას არ გკითხავთ, გწამთ თუ არა, ამას კითხვა რად უნდა, მაგრამ, დადიხართ ეკლესიაში?**

-არა, სამწუხაროდ ვერ დავდივარ, თუმცა, ძალიან ღვთისმოშიში ქალი ვარ, მწამს, ვკითხულობ დილის და საღამოს ლოცვებს, ამავდროულად, მთელი ცხოვრება ოთხშაბათს და პარასკევს ვმარხულობ.

**- რაღაც შეიძლებოდა უკეთესადაც გამეკეთებინაო, ახსენეთ, მაინც რას შესცვლიდით, რა უნდა გაგეკეთებინათ უკეთესად თქვენს ცხოვრებაში?**

-პირველ რიგში, გავიჭირვებდი, თავს ძალას დავატანდი და სამედიცინო უნივერსიტეტს დავამთავრებდი, რადგან მაინც გული მწყდება, რომ არ დავატანე თავს ძალა და არ დავამთავრე უმაღლესი სამედიცინოც, პროფესიის შეცვლით და პედაგოგიურზე წასვლით შევცდი, სამედიცინო გზას არ უნდა ავცდენოდი. თუმცა, ახლა ველარაფერს შევცვლი. მეორე, რაზეც გული მწყდება, ის გახლავთ, რომ აუცილებლად გავაჩენდი მესამე შვილს, რომელიც მე ძალიან მინდოდა, სამწუხაროდ ჩემი მცდელობისა და 12 წლიანი მკურნალობის მიუხედავად, უფალმა არ ინება და არ მომეცა მესამე შვილი. მთელი ჩემი ცხოვრება ვოცნებობდი, რომ ბიჭი მყოლოდა, კაი ვაჟკაცი შვილი ალმეზარდა ქვეყნისთვის, მაგრამ ეს ღვთის ნება იყო და იყოს ნება მისი, სამაგიეროდ ღმერთმა სიძეები შემახვედრა ისეთი, რომ ნამდვილად შემივსეს ვაჟიშვილის დანაკლისი, ძალიან კარგი დამოკიდებულება არსებობს ჩემსა და ორივე სიძეს შორის, რაც ყველაზე მთავარია, ისინი ამართლებენ ნამდვილი ქართველი ვაჟკაცების სახელებს, რისთვისაც მადლობას ვწირავ უფალს. ჩემს აუხდენელ ოცნებაზე მოგვიანებით ასე ვწერდი:

„მთელი ცხოვრება თან მდევდა,
აუხდენელი ოცნება,
ვერ გავხდი ვაჟის მშობელი,
ალბათ ბუნებამ ინება.“

**- თქვენი პოეზიისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულების შესახებ მსმენია, რა არის პოეზია, ქალბატონო ციცინო და რას ნიშნავს ლექსის წერა თქვენთვის?**

- ვწერ მაშინ, როცა რაღაც მახარებს, როცა რაღაც მაწუხებს, ანდა,როცა გული ძალიან მტკივა, ყოველთვის ვწერ. შესაძლოა, დავწერო კარგ მშრომელ პაპაზე, კარგ ქართველ ვაჟკაცზე, მანდილოსანზე, რომელსაც კარგი შვილები აღუზრდია, მიყვარს პოეზია და სტუდენტობის დროიდან მოყოლებული არაერთი ცნობილი პოეტის ლექსი ვიცოდი ზეპირად. მიყვარს ანა კალანდაძის, ჯანსუღ ჩარკვიანის, მურმან ლებანიძის და სხვათა და სხვათა შემოქმედება.

**- იქნებ პოეზიისადმი მუდმივმა ტრფიალებამ გამოიწვია თქვენში რითმათა თანდევნა, ერთი სტრიქონიც გაიხსენეთ რაიმე!**

- უბრალოდ ვწერ, აი, მაგალითად, ერთ-ერთ პაპაზე დავწერე:

„კიდევ ერთხელ დაიჩოქა ბერიკაცმა ვაზთან,
შეისწორა მწვანე ჩოხა მავთულების ხაზთან,
ზედმეტი რქა მოაცალა, წაართმევსო ღალას,
ის ხომ მისი მოვლისათვის არ იშურებს ღალატს.
ამოთოხნის, ბალახს აცლის, დაჭფოფინებს თავზე,
შვილებივით ნაზარდსა და ნასათუთებ ვაზებს...“

ბოლოში ვლექსავ რთველობის ცერემონიას და ქართული სუფრის ადათსა და ჩვეულებას, სადაც პაპა შვილიშვილებს წამოისხამს გრძელ სუფრაზე. როცა რაიმე ჩემზე კარგ შთაბეჭდილებას მოახდენს, ანდა პირიქით... მამაჩემი წერდა თურმე კარგად და, ეტყობა, მისგან გამომყვა, ჩემი შვილიშვილიც წერს -ქეთევან ბალაშვილი, ის სულ ახლახანს მონაწილეობდა ლიტერატურულ კონკურსში დაწყებითი პროზაიკოსებისთვის და ახალგაზრდულ ჯგუფთან ერთად რამდენიმე დღე გახლდათ ყვარელში, სადაც ესეები უნდა შეექმნათ თემაზე „როცა საათი 12-ს უჩვენებს“. ქეთევანმა დაწერა მასალა სათაურით „იქ, სადაც დრო ჩერდება“ და თემატიკად დედის ტკივილი შეარჩია, რომელიც ომში გარდაცვლილი შვილის დანაკარგს განიცდის. ძალიან ძლიერი ესსე დაწერა, რომელიც შემდეგ ერთ- ერთ წიგნში დაიბეჭდა კიდეც. ამჯერად ქეთი აბიტურიენტია. პროფესიად ჟურნალისტიკა აქვს არჩეული. ნიჭიერი და მიზანდასახული გოგოა, მჯერა, წარმატებებს მიაღწევს და ვიამაყებ მისით.

**- რამდენად დაფასებულია თქვენი პროფესია, როგორია თქვენი სამუშაო პირობები და პასუხობს თუ არა თქვენი ანაზღაურება გაწეული შრომის საფასურს?**

- რა თქმა უნდა, სჯობია უწინდელს. პირველი იმიტომ, რომ ახალი აპარატურა გვაქვს, რომელიც ამდენი წლის განმავლობაში არ გვქონია, ამისთვის ძალიან კმაყოფილები ვართ, ამაზე დიდი ბედნიერება რა არის, როცა ზიხარ და შიში არ გაქვს იმის, რომ რომელიმე რეაქტივი გიღალატებს და დარწმუნებული ხარ, რომ შენი პასუხი უტყუარი იქნება. ანაზღაურებაც უწინდელზე ბევრად გუმჯობესებულია, თუ ორიოდ წლის წინ 80-90 ლარი გვქონდა, ახლა 300-400 ლარზე გამოვდივართ, ძირითადად გამომუშავებაზე ვართ, ავადმყოფების მატებას არასოდეს ვინატრებ, მაგრამ მკაცრი რეალობაა, რომ მათი მომართვიანობა ჩვენი ხელფასის ოდენობაზე არის დამოკიდებული.

**- ხელსაქმე თუ გიყვართ?**

- ეზოში უამრავი ლამაზი და უცხო ყვავილი მაქვს, ვფიქრობ, კარგი ყვავილნარი მაქვს, ეს ჩემი გატაცებაა,- ლამაზი ყვავილების მოშენება. ადრე ქსოვა მიყვარდა, მაგრამ სამზარეულოსადმი ჩემს სიყვარულს ვერაფერი გადაწონის, მიყვარს კარგი კერძების მომზადება და ხშირადაც ვამზადებ, უნდა ვაღიარო, სამზარეულოში ფუსფუსი,- ეს ჩემი სისუსტეა.

**- ბედნიერი ხართ?**

- კი, ასეა.

**- არასოდეს გიფიქრიათ, თქვენი ლექსების კრებული გამოსცეთ, რომელიც მუდმივად დარჩება თქვენს ოჯახს და საზოგადოებას?**

- წიგნის გამოცემის ძალიან მერიდება, ხმამაღალ განაცხადად მეჩვენება კრებულის გამოცემა, თუმცა შვილიშვილები მუდმივად მეუბნებიან, -ბებო, მარტო შენს წასაკითხად რად გინდა, სხვასაც ხომ უნდა წააკითხო ეგ ლექსებიო! ვერ გეტყვით რატომ, მაგრამ ზედმეტი გამოჩენის მერიდება. აი, ახლაც, თქვენ რომ უნდა დაწეროთ ჩემზე გაზეთში, ეგეც მერიდება ძალიან, მეშინია, ვინმემ რაიმე ცუდად არ მიიღოს, რაიმე გადაჭარბებულად ნათქვამი არ გამომივიდეს.

**- პირველად შევხვდი ასეთ მორიდებულ ექიმს, მედიცინის მუშაკები უფრო თამამი ადამიანები არიან ხოლმე ...**

- მე მიყვარს და ვაფასებ ნიჭიერ, თამამ, მშრომელ ადამიანებს, თუმცა, მე მაინც მერიდება ყოველთვის ზედმეტად გამოჩენის, ალბათ, ეს ჩემი კომპლექსია.

**- როგორც გატყობთ, თვითკრიტიკული ხართ ?**

- ძალიან, ძალიან თვითკრიტიკული ვარ, იმდენად თვითკრიტიკული, რომ გამუდმებით ვარ ემოციებში, ასე რომ ვუთხარი ამა და ამ ადამიანს, ხომ არ ვაწყენინე? ნეტავ სწორად გავაკეთე, რომ ამა და ამ ადამიანს ასე მივმართე? რას იფიქრებენ ოჯახის წევრები?! რას იტყვის, რას იფიქრებს ხალხი? მოკლედ, მუდმივ დისკუსიაში ვარ ჩემს თავთან. ყოველთვის ვპოულობ რაღაცას საკუთარ თავში, რომ ეს, ესე არ უნდა გამეკეთებინა, რომ უკეთესადაც შეიძლებოდა. ცხოვრებამ ისე გაირბინა, ყოველი წუთი უნდა გამოიყენოს ადამიანმა უქმად არ დაკარგოს წამი, რათა დატოვოს კვალი, კვალი სიკეთისა, აკეთოს სიკეთე სამეგობროში, სამეზობლოში, სახლში, სამსახურში.

**- რას ეტყოდით დედოფლისწყაროელებს?**

- მე მინდა ვთქვა, რომ ახალ კლინიკას გვიშენებენ და მიხარია, მაგრამ ჩვენ გვაქვს შეხება უამრავ ადამიანთან, პაციენტთან, რომელთაც გაჭირვება სახეზე აწერია. მინდა მოვუწოდო მათ, ვისაც ეს ხელეწიფება, რომ მეტი გაუკეთონ საზოგადოებას და მეტი ყურადღება დაუთმონ უბრალო ადამიანებს, მეტად იზრუნონ მათზე, მოუსმონონ მათ გულისთქმას, ადამიანის გულწრფელად ნათქვამი, თუნდაც შენიშვნა, სულაც არ მიიღონ ცუდად, პირიქით, კრიტიკას თუკი გაითვალისწინებენ და სწორად გაიგებენ, კრიტიკა სასარგებლოა მათი ხარისხიანი მუშაობისთვის. ეს გაითვალისწინონ და ყველაფერი უკეთესობისკენ წარიმართება!

ლალი მეხრიშვილი

# ვუთანაგრძნობთ მთელ საქართველოს!

საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრის დაარსებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ფესტივალის მზადების დროს ვერც კი წარმოვიდგენდით, რომ ბოლო წუთს საფესტივალო კონცერტების მოხსნა მოგვიწევდა. მხოლოდ დასკვნითი კონცერტის გადარჩენა შევძელით და ქართველი მსმენელისათვის დიდ დღესასწაულს ვგეგმავდით...

დღეს კი საიუბილეო კონცერტი ჩვენს ქვეყანაში 2015 წლის 13 ივნისის სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად იმართება.

ვუთანაგრძნობთ მთელ საქართველოს!

ამავდროულად ვამაყობთ ახალგაზრდა თაობით, რომელმაც ბოლო დღეების მანძილზე ჩვენი ქვეყნის ბედნიერი მომავლის იმედი გაგვიჩინა!

მიხარია, რომ თქვენთან ერთად შევძლებთ სტიქიით დაზარალებული ოჯახების დახმარებაში ჩვენი მოკრძალებული წვლილის შეტანას!- განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას კომპოზიტორმა, დირიჟორმა, საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკერსტრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, რუსთაველის პრემიის ლაურეატმა ნიკოლოზ რაჭველმა.

საქართველოს სიმფონიური ორკესტრი ოფიციალურად 1925 წელს დაარსდა და მისი პირველი სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი ივანე ფალიაშვილი გახლდათ. 1933 წელს ორკესტრს სახელმწიფო სტატუსი მიენიჭა და მისი მთავარი დირიჟორი გახდა 1937 წელს რეპრესირებული-ლეგენდალური ევგენი მიქელაძე. 1971 წელს საქართველოს სახელმწიფო სიმფონურ ორკესტრს დამსახურებული ორკესტრის წოდება მიენიჭა, ხოლო 1994 წელს - ევგენი მიქელაძის სახელი.

სხვადასხვა დროს ორკესტრს ხელმძღვანელობდნენ დირიჟორები: ალექსანდრე გველესიანი, გრიგოლ კილაძე, ალექსანდრ გაუკი, შალვა აზმაიფარაშვილი, ოდისეი დიმიტრიადი, ჯემალ გოკიელი, ზაქარია ხუროძე, ჯანსუღ კახიძე, დევიდ დელ პინო კლინგე, ვახტანგ მაჭავარიანი, სამხატვრო ხელმძღვანელები-კომპოზიტორები: ანდრია ბალანჩივაძე და ალექსი მაჭავარიანი.

2005 წელს საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, სხვა სახელმწიფო სტატუსის მქონე კოლექტივებთან ერთად, ახლად დაფუძნებულ საქართველოს ეროვნულ- მუსიკალურ ცენტრში გაერთიანდა და მას შემდეგ ორკესტრი მოიხსენიება, როგორც საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრი. მუსიკალური ცენტრის ხელმძღვანელად კი ვენიდან მოიწვიეს 25 წლის ახალგაზრდა კომპოზიტორი - ნიკა მემანიშვილი ( მოგვიანებით ნიკოლოზ რაჭველი) აღსანიშნავია ის სასიამოვნო ფაქტი, რომ მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად, რომელიც გაზეთ „საქართველოს ლირიკამ" ჩაატარა ამ ხუთიოდე წლის წინ, ნიკა მემანიშვილი დასახელებულია 21-ე საუკუნის ხელოვნების ახალგაზრდა მოღვაწეთა ვირტოუზთა ათეულში, მასთან ერთად ამ ათეულში შედიან ცნობილი მუსიკოსები: გოგი ჭიჭინაძე, დავით საყვარელიძე, ვახტანგ კახიძე, გია ბაღაშვილი და სხვები. 2007 წლიდან ნიკამ ორკესტრის მთავარი დირიჟორის თანამდებობა შეითავსა.

სხვადსხვა წლებში საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრი კონცერტებით გამოდიოდა მსოფლიოს ცნობილ საკონცერტო დარბაზებში, მათ შორის მოსკოვის კონსერვატორიის დიდ დარბაზში, ბერლინის, ამსტერდამის, ათენის, ფრანკფურტის, პეტერბურგის დ.შოსტაკოვიჩის სახელობის ფილარმონიაში, პარიზის ინვალიდების სასახლეში, პიერ კარდენის ცენტრში და სხვა.

შემოქმედებითი მოღვაწეობის 90 წლის მანძილზე ორკესტრს შესრულებული აქვს ეროვნული და მსოფლიო სიმფონიური და საოპერო მუსიკის არაერთი შედევრი. ის გახლავთ ქართველ კომპოზიტორთა პრაქტიკულად ყველა მნიშვნელოვანი სიმფონიური თხზულების პირველი შემსრულებელი და ამასთანავე უცხოელ კომპოზიტორთა ქართული პრემიერებისა.

2013 წელს საქართველოს ეროვნულ- მუსიკალურ ცენტრში განხორციელებული რეფორმის შედეგად, ეროვნულ- სიმფონიურ ორკესტრს ახალგაზრდა, ნიჭიერ მუსიკოსთა თაობა შემოუერთდა. შეირჩა ეროვნული მუსიკალური ცენტრის სამხატვრო საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან: გია ყანჩელი, ლექსო თორაძე, პაატა ბურჭულაძე, იოსებ ბარდანაშვილი და შალვა მოსიძე. ამავე წელს საქართველოს ეროვნულ -სიმფონიური ორკესტრი საქართველოს მასშტაბით ისტორიული რეფორმის ინიციატორი ხდება, რომლის მიხედვითაც ორკესტრმა მოიპოვა უფლება, თავად აირჩიოს შემოქმედებითი ხელმძღვანელი (მანამდე ეს თანამდებობა საქართველოს კულტურის მინისტრის მიერ ინიშნებოდა). 2013 წლის დეკემბერში საქართველოს ეროვნულმა სიმფონიურმა ორკესტრმა სამხატვრო ხელმძღვანელად და მთავარ დირიჟორად ნიკოლოზ რაჭველი აირჩია და მას შემდეგ არაერთი წარმატებული კონცერტი გაიმართა მოწვეულ ქართველ და უცხოელ მუსიკოს-შემსრულებლებთან ერთად.

ერთ-ერთი ასეთი წარმატებული გახლდათ ის კონცერტი, რომელიც 2015 წლის 28 ივნისს თბილისის საკონცერტო დარბაზში (ფილარმონიაში) გაიმართა მევიოლონე ლიზა ბათიაშვილის მონაწილეობით ეროვნულ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად. საპატიო კონცერტმაისტერი ვიქტორ კონიაევი, დირიჟორი ნიკოლოზ რაჭველი. ლიზა ცხოვრობს მიუნჰენში და უკრავს 1739 წლის ჯოზეფ გუარნერის ვიოლინო დელ გასუ-ზე , რომელიც მას გერმანელმა კერძო კოლექციონერმა მიაქირავა.

ლიზა ნიუ -იორკის და ჰამბურგის 2014 -2015 წლის საკონცერტო სეზონის რეზიდენტ-სოლისტია, მისი ვირტუოზული და ღრმა, მგრძნობიარე შესრულება მსმენელისა და მუსიკოსთა მიერ მუდმივი ქების საგანია. ლიზა თავის მეუღლე ფრანსუა ლელუმთან ერთად კამერული მუსიკის კონცერტებს გამართავს ნიუ-იორკში, ბოსტონში, ფილადელფიაში და ტორონტოში.

ლიზა ქართველი მსმენელის წინაშე საინტერესო პროგრამით წარსდგა, მან ჩვეული მომხიბვლელობით შეასრულა პეტრე ჩაიკოვსკის და იოჰან სებასტიან ბახის სავიოლინო კონცერტები, ხოლო ბისზე ქართული ნაწარმოებების პოპური. ამ უმშვენიერეს არსებას ფეხზე წამოუდგა მთელი დარბაზი და ხანგრძლივი აპლოდისმენტებით აჯილდოვებდა. ზღვა ყვავილების თაიგული მიართვეს უნიჭიერესს მუსიკოსს, რომელიც მსოფლიოს მევიოლონეთა ხუთეულშია შესული.

უდიდესი სიამოვნება მიანიჭა ქართველ მუსიკის მოყვარულებს ორი ტანდემის- ნიკოლოზ რაჭველის და დავით დოაშვილის ერთობლივმა ნამუშევარმა ინტრო სპექციამ- ამბავი ჩვენზე, რომელიც გაიმართა 30 ივნისს ამავე საკონცერტო დარბაზში. ქართული სიმღერებით გაჯერებულ წარმოდგენას, მხატვრულად ბრწყინვალედ გაფორმებულ სცენურ ვერსიას, რომლის მთავარი გმირი გახლდათ ნატო მეტონიძე, ტრიუმფალური წარმატება ხვდა წილად. ნაცნობი ქართული მელოდიები ცნობილი სპექტაკლებიდან და მხატვრული ფილმებიდან ისე სალბუნად ედებოდა მსმენელთა გულს, თავი ზღაპრულ სამყაროში გეგონებოდათ.

გემოვნებიანი მსმენელი ხანგრძლივი ტაშით და ბრავოს შეძახილებით აჯილდოვებდა წარმოდგენის თითოეულ მონაწილეს. ბრავო ნიკა! ბრავო დათო! ბრავო ნატო! დიდხანს ისმოდა ეს შეძახილები დარბაზში. საიუბილეო კონცერტებს ესწრებოდა კულტურის მინისტრი მიხეილ გიორგაძე...

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მასმედიის სახელით ეროვნული მუსიკალური ცენტრის გენერალურ მენეჯერს, უმშვენიერეს, ყურადღებიან ახალგაზრდა ქალბატონს ნინო ნახუცრიშვილს, რომლის უშურო დახმარებით ყოველთვის ვესწრებით ამ ბრწყინვალე საპრემიერო კონცერტებს. ორივე კონცერტიდან შემოსული თანხა მთლიანად გადარიცხა სოლიდრობის ფონდში თბილისის 13 ივნისის სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დასახმარებლად.

გაზეთ „შირაქის" სახელით, ვულოცავთ ეროვნულ -სიმფონიურ ორკესტრს 90 წლისთავის იუბილეს და კვლავაც უდიდეს შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებთ.

ნანა ჭიჭინაძე

# საქველმოქმედო კონცერტი

2015 წლის 7 ივლისს ქ.დედოფლისწყაროს კულტურის სახლში გაიმართა ვოკალურ - ინსტრუმენტული ანსამბლის - „აისელები" საქველმოქმედო კონცერტი. შემოსული თანხა გადაირიცხება სტიქიის შედეგად დაზარალებულთა ფონდში.

ანსამბლი „აისელები" დაკომპლექტებულია სხვადასხვა თაობის წევრებით. ანსამბლში,ახალგაზრდებთან ერთად, დასარტყამ ინსტრუმენტზე და ბას გიტარაზე უკრავდნენ ყოფილი ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლ „ოცნების" წევრები,ამჟამად ქ.დედოფლისწყაროს კულტურის სახლის თანამშრომლები— მამუკა უთრუთაშვილი და ვანო ბულულაშვილი. ანსამბლის ხელმძღვანელია მამა პანტელეიმონი. სწორედ ამ ადამიანების თავდაუზოგავი შრომითა და გვერდში დგომით,ახალგაზრდებმა მიაღწიეს იმ შედეგს,რითაც წარსდგნენ მსმენელის წინაშე.

კონცერტის დასასრულს, დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორმა ნონა ჯიბლაშვილმა.მათ მიულოცეს ახალგაზრდებს მსმენელის წინაშე წარმატებული გამოსვლა, მადლობა გადაუხადეს მამა პანტელეიმონს გაწეული შრომისათვის .

ახალბედა ანსამბლს ღირსეულად წარდგენა მიულოცა ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის ეპისკოპოსმა,მეუფე დიმიტრიმ. მან დალოცა ახალგაზრდები და მომავალი წარმარმატებები უსურვა მათ.

განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა ანსამბლის ლოგომ,რომელიც შექმნა ქ.დედოფლისწყაროს კულტურის სახლის მხატვარ-დეკორატორმა გია ყაჭაშვილმა.

კონცერტის დამთავრების შემდეგ, მაყურებელმა კმაყოფილმა დატოვა დარბაზი.მათ თავიანთი ემოციები გადაიტანეს ჩანაწერთა წიგნში და კეთილი სურვილებით დაემშვიდობნენ ახალგაზრდებს.







# ვანგას წინასწარმეტყველება დაბადების თარიღის მიხედვით - რა გელოდებათ წინ...

## მაშ ასე! ბედის წინასწარმეტყველება დაბადების თარიღის მიხედვით:

1. ბედის ამოსაცნობად მოგიწევთ არითმეტიკული ოპერაციების ჩატარება.

მაგალითად თუ 04.11.1979 წელს დაიბადეთ, რიცხვების დასადგენად საჭიროა შემდეგი გაანგარიშება: 0+4=4. დაბადების წლის ბოლო ორი ციფრის ჯამი კი: 7+9=16 - თქვენი ცხოვრების ინდივიდუალურ ციფრს მიუთითებს. ანუ ყოველ 16 წელში თქვენი ბედი განახლდება და მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდება;

2. მნიშვნელოვანია იცოდეთ, რომ დაბადების წლის ბოლოს წინა ციფრი (ამ შემთხვევაში -7) მამის გავლენაა ხოლო ბოლო (ამ შემთხვევაში 9) დედის. რაც მაღალია ციფრი, მეტია გავლენის ზემოქმედებაც. ერთნაირი რიცხვები კი მშობლების ჰარმონიულ გავლენას ნიშნავს.

3. დაბადების წელი გაამრავლეთ რიცხვსა და თვეზე.

მაგ: რიცხვია - 4, თვე -11, გამოვიდა 411, ამიტომ 411ხ1979=813369. რიცხვების შეერთებით, საბოლოოდ, მიიღებთ პირადი პოტენციალის დონეს (30). რაც უფრო მაღალია მნიშვნელობა, მეტია პოტენციალი.

4. ახლა შეადგინეთ ცხოვრების გრაფიკი რიცხვების მიხედვით.

დაბადების წელი გაამრავლეთ დღესა და თვეზე. რიცხვების მნიშვნელობა განალაგეთ აბსცისაზე, ღირებულება კი ორდინატაზე. იგრეკ ღერძზე განლაგდება - 1,2,3,4,5,6,7,8,9. იქსზე კი - 8,1,3,3,6,9. შემდეგ სიტყვებზე განალაგეთ შემდეგი წერტილები: ჯერ 2, შემდეგ ყ=1 და X=8; ალბათ შენიშნეთ, რომ მეორე წერტილი ემთხვევა თქვენს 16 წლიან ციკლს. ციკლის შემდგომ პერიოდში (32 წელი) - უნდა გადადოთ გადაკვეთის წერტილი y=2 და ხ=1. ამგვარად უნდა გადადოთ ყველა ცხრა რიცხვი.

5. აგებულ გრაფიკზე დაინახავთ როგორ წარიმართება თქვენი ბედი.

გაიგებთ როდის მოგელით ცხოვრებაში წარმატება თუ წარუმატებლობა, ცხოვრებისეული აღმაფრენა თუ დაცემა, და ეს დაემთხვევა თქვენს ასაკს. გრაფიკზე რაც უფრო დაბლა ჩამოდის წერტილი - ცხოვრების ამ პერიოდში მით უფრო რთული პერიოდი გელით. მაგალითად თუ წერტილი 0-ზე აღმოჩნდა, დიდი საშიშროება გემუქრებათ. გრაფიკის უმაღლეს წერტილებში კი, ნაწინასწარმეტყველები გაქვთ სოციალური, კარიერული და სხვა დიდი წარმატებები.




| | | ЯНВ | ФЕВ | МАР | АПР | МАЙ | ИЮН | ИЮЛ | АВГ | СЕН | ОКТ | НОЯ | ДЕК |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1940 | 1968 | 31 | 13 | 17 | 13 | 39 | 18 | 38 | 36 | 20 | 36 | 29 | 14 |
| 1941 | 1969 | 7 | 20 | 6 | 23 | 21 | 40 | 7 | 19 | 30 | 23 | 35 | 34 |
| 1942 | 1970 | 5 | 32 | 32 | 18 | 28 | 10 | 15 | 35 | 16 | 34 | 27 | 13 |
| 1943 | 1971 | 13 | 33 | 28 | 27 | 30 | 5 | 29 | 24 | 31 | 31 | 2 | 12 |
| 1944 | 1972 | 31 | 23 | 39 | 31 | 7 | 6 | 6 | 37 | 26 | 36 | 23 | 35 |
| 1945 | 1973 | 21 | 30 | 39 | 35 | 5 | 12 | 4 | 7 | 32 | 22 | 32 | 4 |
| 1946 | 1974 | 40 | 15 | 15 | 3 | 2 | 7 | 32 | 34 | 28 | 36 | 4 | 8 |
| 1947 | 1975 | 5 | 33 | 25 | 16 | 6 | 21 | 4 | 4 | 39 | 32 | 5 | 6 |
| 1948 | 1976 | 6 | 19 | 38 | 19 | 14 | 39 | 39 | 32 | 9 | 5 | 20 | 27 |
| 1949 | 1977 | 34 | 38 | 15 | 22 | 23 | 34 | 14 | 4 | 8 | 34 | 25 | 30 |
| 1950 | 1978 | 1 | 28 | 38 | 10 | 18 | 40 | 36 | 27 | 16 | 40 | 29 | 30 |
| 1951 | 1979 | 11 | 32 | 33 | 23 | 1 | 26 | 33 | 39 | 20 | 15 | 24 | 7 |
| 1952 | 1980 | 6 | 8 | 22 | 5 | 39 | 2 | 5 | 34 | 39 | 12 | 12 | 33 |
| 1953 | 1981 | 9 | 27 | 31 | 28 | 8 | 12 | 1 | 12 | 20 | 4 | 9 | 4 |
| 1954 | 1982 | 10 | 5 | 15 | 11 | 11 | 18 | 18 | 16 | 6 | 12 | 15 | 4 |
| 1955 | 1983 | 39 | 14 | 14 | 28 | 36 | 24 | 9 | 11 | 35 | 1 | 16 | 23 |
| 1956 | 1984 | 35 | 24 | 25 | 12 | 37 | 7 | 35 | 35 | 26 | 31 | 19 | 29 |
| 1957 | 1985 | 37 | 19 | 23 | 32 | 29 | 28 | 15 | 26 | 8 | 6 | 31 | 12 |
| 1958 | 1986 | 20 | 30 | 2 | 8 | 37 | 34 | 2 | 37 | 23 | 30 | 14 | 20 |
| 1959 | 1987 | 4 | 40 | 30 | 7 | 39 | 27 | 18 | 19 | 2 | 6 | 36 | 25 |
| 1960 | 1988 | 4 | 10 | 20 | 19 | 15 | 16 | 1 | 20 | 26 | 7 | 37 | 3 |
| 1961 | 1989 | 31 | 36 | 40 | 27 | 3 | 9 | 27 | 1 | 25 | 5 | 7 | 17 |
| 1962 | 1990 | 34 | 10 | 33 | 9 | 40 | 23 | 12 | 37 | 30 | 17 | 37 | 24 |
| 1963 | 1991 | 19 | 18 | 23 | 23 | 23 | 37 | 28 | 36 | 12 | 4 | 8 | 11 |
| 1964 | 1992 | 21 | 21 | 15 | 25 | 31 | 2 | 20 | 5 | 16 | 4 | 12 | 37 |
| 1965 | 1993 | 20 | 37 | 37 | 16 | 11 | 28 | 5 | 27 | 7 | 33 | 34 | 5 |
| 1966 | 1994 | 21 | 24 | 23 | 39 | 9 | 37 | 38 | 26 | 26 | 2 | 28 | 2 |
| 1967 | 1995 | 24 | 31 | 4 | 1 | 33 | 23 | 3 | 7 | 36 | 13 | 16 | 1 |

თუ დაბადების დღის ნუმეროლოგიური კოდი არის - 1, ეს ადამიანები მოქმედებენ აქტიურად, არიან ენერგიულები და ინიციატორებო. ისინი ბავშვობიდან არ ემორჩილებიან მშობლებსა და სხვა აღმზრდელებს. მათზე დადებითად მოქმედებს ექსტრემალური სიტუაციები, ამ დროს მოსდით კარგი იდეები. ეს ადამიანები, რაც არ უნდა დიდ წარმატებას მიაღწიონ ცხოვრებაში, არ უნდა გახდნენ ამაყები და ტრაბახის მოყვარულები.

თუ კოდი არის -2 ცვალებადი ხასიათის ადამიანია და ეს ძირითადად გამოწვეულია საკუთარი თავისადმი რწმენის არ ქონის გამო. გამუდმებით ეპარებათ ეჭვი და ზედმეტად განიცდიან, როცა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება უწევთ. სასურველია თავი აარიდონ კონფლიქტებს და ყური უგდონ ჭკვიანი ადამიანის რჩევებს.

მათ დიდი პოტენციალი აქვთ და ბევრის გაკეთება შეძლიათ, როცა მარტო არ არიან. ასეთმა ადამიანებმა უფრო მეტად უნდა დააფასონ საკუთარი თავი, შეიმატონ თავდაჯერებულობა და მორიდების გარეშე ითხოვონ მხარდაჭერა, როცა სჭირდებათ.

როცა კოდი 3-ია, მათ ყველაფერი ერთდროულად სურთ და პეპლის მსგავსად ერთი ყვავილიდან მეორეზე გადაინაცვლებენ; უმჯობესია სურვილები რეალობას შეუსაბამონ და შეადგინონ სია, რომლის მიხედვითაც დაიწყებენ სურვილების შესრულებას. მაშინ მათი ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვლება.

4-იანის ადამიანები - უყვართ სტაბილურობა. არიან პასუხისმგებლიანი, საიმედო და სერიოზული ადამიანები. სწორად უდგებიან ნებისმიერ წარუმატებლობას და ცხოვრებისეულ გამოცდილებად მიიჩნევენ. წარუმატებლობა

უფრო აზარტულს ხდის და ბოლომდე იბრძვიან, ვიდრე სასურველ შედეგს არ მიაღწევენ. აქვთ ფულის გამომუშავების უნარი.

როცა კოდი 5-ია, აფასებს თავისუფლებას და უყვარს ცვლილებები. უყვართ რისკი და უმეტეს შემთხვევაში იმარჯვებენ. ცხოვრებაში ძალიან უმართლებთ. გამოირჩევიან მაღალი ინტელექტით, აქვთ რამდენიმე საქმის ერთად კეთების უნარი. უყვართ მოგზაურობა და ხალხთან ურთიერთობა.

6 - თუ ამ ადამიანმა სიტყვა მოგცათ, შეუძლებელს შეძლებს მის შესასრულებლად. არიან ღირსეულები. მათთვის ყველაზე წარმატებული სფეროა - მედიცინა, პოლიტიკა და საგანმანათლებლო საქმიანობა. ახასიათებთ ადრეული ქორწინება.

7- ისინი უსმენენ შინაგან ხმას და არა ლოგიკას. მატერიალურზე მეტად სულიერი ცხოვრებით ინტერესდებიან. ხელოვნების, ფილოსოფიისა და რელიგიის საკითხებში ნამდვილი ექსპერტები არიან.

8- შეუძლიათ და მიმართავენ კიდეც თავის ძალებს მატერიალური ცხოვრებისკენ. ბიზნესში დიდ მწვერვალებს აღწევენ, მაგრამ მხოლოდ საკუთარ ფულზე ზრუნვა წარმატებას ვერ მოუტანს. თუ სხვის მოგებაზეც იფიქრებენ, ყოვლად უზრუნველყოფილი ცხოვრება ელით. რა საქმესაც არ უნდა შეეჭიდონ, ყოველთვის უნდა ახსოვდეთ რომ, მატერიალური აუცილებლად უნდა გაუთანაბრონ სულიერს.

9- გარშემომყოფები მას ძალიან აფასებენ და ავტორიტეტულ ადამიანებად მიიჩნევენ. ქორწინებაში მისთვის უფრო მნიშვნელოვანია სულიერი მხარე, ვიდრე ფიზიკური სიახლოვე.

11- ამ ადამიანებს ცხოვრებაში დიდი მისია აკისრიათ. ისინი გამუდმებით იძლევიან რჩევებს და პასუხისმგებლობით ეკიდებიან თითოეულ სიტყვას, რასაც სხვის სასარგებლოდ ამბობენ და ეს ადამიანები ხშირად მასზე გაცილებით უფროსებიც არიან.

ადამიანები, რომელთა ნუმეროლოგიური კოდი 22-ია, ყველაზე გრანდიოზული და რთული ცხოვრებისეული მისია აკისრიათ. კაცობრიობას უძღვნიან თავს. მათი დავალებაა აუხსნან თანამედროვეებს კოსმიური ძალების შესახებ.

# მეცნიერებმა სამყაროს დასაწყისი იხილეს. აღმოჩენილია ნაწილაკი, რომლის აფეთქების შედეგად, მთელი სამყარო შეიქმნა

მეცნიერებმა, რომლებიც მუშაობდნენ დიდ ადრონულ კოლაიდერზე, მიიღეს კომპიუტერული გამოსახულება იმისა, რაც შეიძლება მომხდარიყო სამყაროს შექმნის მომენტში. ბირთვული კვლევების ევროპული ცენტრის (ცერნი) მეცნიერებმა, სამყაროს წარმოშობის დადგენის მცდელობის დროს, შექმნეს ისეთი პირობები, როგორიც დიდი აფეთქების დროს იყო, სამყაროს შექმნის მომენტში. მათ საფუძვლად ტყვიის ელემენტარული ნაწილაკები აიღეს და 9, 3 ათასი მაგნიტის გამოყენებით, აამოძრავეს 25 კილომეტრიან ამაჩქარებელში, რის შედეგადაც, ნაწილაკების სიჩქარე, სინათლის სიჩქარეს გაუტოლდა. ამის შემდეგ, ეს ნაწილაკები ერთმანეთს შეაჯახეს ვაკუუმში, რომელშიც ტემპერატურა -271°C გრადუსი იყო. როგორც Daily Mail -მა აღნიშნა, ამ მომენტისთვის, ნაწილაკების მიერ გამოყოფილი სითბო, 100 ჯერ აღემატებოდა, მზის მიერ გამოყოფილი სითბოს ტემპერატურას.

"ამგვარი სუბატომური ნაწილაკები, ძირითადი სამშენებლო ელემენტები (მატერია) არის სამყაროში - ექსპერიმენტის მსვლელობის შესახებ, განმარტება გააკეთა, ცერნი-ის წარმომადგენელმა, ქრისტინა სატონმა. - მათი ურთიერთქმედების შესწავლის გზით, ჩვენ შეგვიძლია იმის დადგენა, თუ როგორ დაიწყო ყველაფერი".

ამ ექსპერიმენტის შედეგად, მეცნიერებმა, კომპიუტერის ეკრანზე მიიღეს მომაჯადოვებელი სანახაობა, რომელიც ფოერვერკს წააგავდა, ღამის ცაზე, იმ განსხვავებით, რომ სინათლის "შოუს", სრულ წყვდიადში, ჭეშმარიტად კოსმოსური მასშტაბი ჰქონდა.

"ჩვენ არ შეგვიძლია ნაწილაკის დანახვა, მაგრამ შეგვიძლია მისი ნაკვალევის დაფიქსირება, რომელიც ძალიან ჰგავს თვითფრინავის ინვერსიულ გზას" - განმარტა სატონმა.

ასეთი შედეგით დასრულდა 2011 წლის ექსპერიმენტი.

მას შემდეგ, კიდევ რამოდენიმე ექსპერიმენტი ჩატარდა, მოხდა კოლაიდერის განახლება

და გაძლიერება და სულ ახლა ხანს, ამა წლის, 14 ივნისს, ცნობილი გახდა, რომ მეცნიერებმა შეძლეს პენტაკვარკის ნაწილაკის აღმოჩენა. "პენტაკვარკი, უბრალოდ ნაწილაკი არ არის, - აღნიშნა "ცერნის" წარმომადგენელმა, გ. ვილკინსონმა - ეს არის ნაწილაკი, რომლის მეშვეობითაც, ჩვენ შეგვიძლია დავადგინოთ, თუ როგორ შეიქმნა მატერია, პროტონები, ნეიტრონები და საერთოდ, მთელი სამყარო."


## უ ლ ო ც ა ვ ე ნ !

### ანა ჩიტიშვილს!

10 ივლისს შეგისრულდა 7 წელი . გილოცავთ დაბადების დღეს, ჩვენო საყვარელო ცქრიალა გოგო. გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, სკოლაში კარგად სწავლას და დიდ წარმატებებს.

უფალი იყოს შენი მფარველი.

**შენი მამიკო** ლევანი, ლერი ძია
ვალიკო პაპა, მერი ბებო.

### ლალი პოპიაშვილს!

საყვარელო ლალი მასწავლებელო, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ყოველივე კარგს თქვენს ოჯახთან ერთად. კიდევ მრავალი და კარგი თაობა აღგეზარდოთ. ჩვენც ისეთი ადამიანები გამოვსულიყავით, რომ ჩვენით გეამაყოთ.

**თქვენზე შეყვარებული**
ნიკა ჭუჭულაშვილი

## ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა !

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრი იწყებს ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის?“ 2015 წლის შემოდგომა-ზამთრის ჩემპიონატს, რომელიც ჩატარდება ყოველი თვის ბოლოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის დარბაზში.
პირველი თამაში შედგება 24 ივლისს, 18 საათზე.
დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრში (კოსტავას ქ. N3) ტელ: 595 09 05 13, 2015 წლის 20 ივლისამდე.
სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის ადმინისტრაცია.


## ა მ ი ნ დ ი დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო

| | დღე | ღამე |
|---|---|---|
| ორშაბათი 20.07 | 20 ° | 19 ° |
| სამშაბათი 21.07 | 21 ° | 20 ° |
| ოთხშაბათი 22.07 | 23 ° | 22 ° |
| ხუთშაბათი 23.07 | 24 ° | 23 ° |
| პარასკევი 24.07 | 23 ° | 22 ° |
| შაბათი 25.07 | 24 ° | 23 ° |
| კვირა 26.07 | 25 ° | 24 ° |


გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.


C M Y K